პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 220 (12732) | ხუთშაბათი, 19 სექტემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ეფექტიანად გამოვიყენოთ ყოველი ჰექტარი სარწყავი მიწა

ვოლგოგრადი, 17 სექტემბერი. (პრესჯგუფი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ ვოლგოგრადის ოლქში ჩავიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი **ნ. ს. ხრუშჩოვი.** იმავე დღეს ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია საბჭოთა მეურნეობა „ვოლგა-დონს“, დაათვალიერა მისი ყანები, დაწვრილებით გაეცნო ამ მეურნეობის სარწყავი მიწათმოქმედების პრაქტიკას.

ნაშუადღევს პარტიის სასოფლო საოლქო კომიტეტში ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა საოლქო ორგანიზაციათა, სამეცნიერო დაწესებულებათა, მეურნეობათა ხელმძღვანელებსა და სარწყავი მიწათმოქმედების სპეციალისტებს. ნიკიტა სერგის-ძე გაეცნო იერიგაციის მდგომარეობას, ვოლგისპირეთში მისი განვითარების პერსპექტივებს.

პირველმა ინფორმაცია გააკეთა ვოლგოგრადის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ა. ი. ბეზზუბენკომ.**

— ჩვენს ოლქში, — თქვა მან, — 48.700 ჰექტარი სარწყავი მიწებია. თუმცა აქედან მიმდინარე წელს დავთესეთ და ვრწყავთ მხოლოდ 36 ათას ჰექტარს.

ამხ. ბეზზუბენკომ ილაპარაკა იმაზე, თუ რა კულტურები მოჰყავთ სარწყავ მიწებზე, ბოსტნეულის, სიმინდისა და მარცვლეული თავთავიანების რა მოსავალს იღებენ. ერთი კილოგრამი ბოსტნეულის თვითღირებულებაა 5,5 კაპიკი.

— ეს ძალიან ძვირია, — შენიშნავს ამხანაგი ხრუშჩოვი.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს წყალთა მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **კ. ს. კორნეევმა** დაწვრილებით ილაპარაკა იმაზე, თუ სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების რა პერსპექტივებია რუსეთის ფედერაციის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. სარწყავი მიწების ძირითადი რაიონებია ჩრდილოეთი კავკასია, ვოლგისპირეთი. ამხ. კორნეევმა დაახასიათა ყოველი ეს რაიონი, ილაპარაკა მარცვლეული თავთავიანებისა და სამარცვლე პარკოსნების, სიმინდისა და ბრინჯის წარმოების გადიდების შესაძლებლობებსა და რეზერვებზე.

— ყუბანის, დონის, თერგისა და სულაკის წყლის რესურსები, — თქვა ამხ. კორნეევმა, — საშუალებას გვაძლევს დამატებით ავაშენოთ უახლოეს დროში ჩრდილოეთ კავკასიაში საირიგაციო სისტემები 700 ათასი ჰექტარის მოსარწყავად, სულ კი ათვისებულ იქნება 880 ათასი ჰექტარი. აქ შესაძლებელი იქნება ბრინჯი დავთესოთ 215 ათას ჰექტარზე, სამარცვლე სიმინდი და სამარცვლე პარკოსნები—665 ათას ჰექტარზე. ამ ფართობებზე შეიძლება ყოველწლიურად გვქონდეს მყარი საერთო მოსავალი: ბრინჯისა — 43 მილიონი ფუთი, სამარცვლე სიმინდისა — 170 მილიონი ფუთი და საკვებისა — 2.700 ათასი ტონა საკვები ერთეული. ყველაზე დიდი რაიონია ვოლგისპირეთი, სადაც პერსპექტივით სარწყავი მიწების ფართობი შეიძლება გავზარდოთ 5 მილიონ ჰექტარამდე.

ნ. ს. ხრუშჩოვი. რა შესაძლებლობები აქვს ვოლგისპირეთს უახლოესი წლებისათვის?

ამხ. კორნეევი. 1970 წლისათვის შეიძლება მოვრწყათ 620 ათასი ჰექტარი.

ნ. ს. ხრუშჩოვი. რამდენი დაიხარჯება ჰექტარზე?

ამხ. კორნეევი. საირიგაციო მშენებლობაზე ბრინჯის პლანტაციებისათვის — 1.200 მანეთი, სიმინდისა და ხორბლისათვის — 800-900 მანეთი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ათვისებასთან ერთად — 2.400 მანეთი.

ნ. ს. ხრუშჩოვი. რამდენი იხარჯება მშიერ ველში, სადაც ამხ. სარქისოვი ხელმძღვანელობს სამუშაოებს?

ხმა ადგილიდან. 3.050 მანეთი.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მაგრამ იქ მშენებლობაში დაბანდებული სახსრები გაცილებით სწრაფად ნაზღაურდება.

ამხ. კორნეევი აღნიშნავს, რომ სარწყავი მიწათმოქმედება რუსეთის ფედერაციის რაიონებში ჯერჯერობით ექსტენსიურად წარმოებს. რა არის ამის მიზეზი? რუსეთის ფედერაციის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რწყვას ისეთ ყურადღებას როდი აქცევენ, როგორც შუა აზიაში. ამავე დროს ნაკლები შესაძლებლობა როდი გვაქვს, რათა უხვი მოსავალი მივიღოთ სარწყავ მიწებზე. მარცვლეულის, სიმინდისა და ბოსტნეულის მცირე მოსავლიანობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ არ ხორციელდება მეურნეობათა სპეციალიზაცია. დასასრულ ამხ. კორნეევმა დააყენა საკითხი, რომ საჭიროა ერთ ორგანიზაციაში მოეყაროს თავი საირიგაციო ნაგებობათა დაპროექტებას, მშენებლობასა და ექსპლოატაციას.

იგივე თქვა თავის გამოსვლაში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **კ. კ. შუბლაძემ.** მან ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმას, რომ საჭიროა ამუ-დარიის ქვემოწელის ათვისება.

— საუკუნეების მანძილზე მოაქვს ამუ-დარიის წყალს, — თქვა ამხ. შუბლაძემ, — ნაყოფიერი ლამის ნაწილაკები, რომლებიც ილექება მდინარის დელტაში. ეს ხომ ნაყოფიერების საგანძურია! მაგრამ მას ფაქტიურად ჯერ ვერ ვიყენებთ. საჭიროა რაც შეიძლება მალე დავიწყოთ ტახიატაშის კაშხალის შენებლობა, რომლის ექსპლოატაციის დაწყებით შეიძლება მოვრწყათ სულ ცოტა 900 ათასი ჰექტარი. აქ დიდ ფართობებზე შეიძლება მოვიყვანოთ ბრინჯის უხვი მოსავალი. საჭიროა დავაჩქაროთ ამ კაშხალის პროექტის შედგენა.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სთხოვა სპეციალისტებს მოახდინონ გაანგარიშება და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებანი, როგორ იქნება უკეთესი და უფრო ხელსაყრელი — მიწის არხებით გაიყვანონ წყალი თუ რკინაბეტონის ღარებით.

სიტყვებს ამბობენ ინსტიტუტებისა და საცდელი სადგურების წარმომადგენლები. თვითეული მათგანი კონკრეტული მაგალითებითა და გაანგარიშებით ცხადყოფს ვოლგისპირეთში რწყვის გაფართოების შესაძლებლობებს. ინფორმაციები გააკეთეს სამხრეთის წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის ვოლგოგრადის ფილიალის მთავარმა ინჟინერმა ვ. მ. სმირნოვმა, საბჭოთა კავშირის მემცენარეობის ინსტიტუტის საცდელ-სასელექციო სადგურის დირექტორმა ნ. ი. ჩულკოვმა, ენგელსის საცდელი სამელიორაციო სადგურის დირექტორმა ი. ს. კოსტინმა, ინსტიტუტ „ჰიდროპროექტის“ ფილიალის უფროსმა ლ. ა. პრიპოტენმა, სამხრეთის წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის ვოლგოგრადის ფილიალის პროექტის მთავარმა ინჟინერმა ე. ი. ბოლდენბერგმა.

საუბრის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა. მისი გამოსვლა დიდი ყურადღებით მოისმინეს.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

მინდა, ამხანაგებო, გამოვთქვა ზოგიერთი შთაბეჭდილება იმაზე, რაც თქვენთან ვნახე და მოვისმინე. ბევრი არასასიამოვნო სიტყვა უკვე ვთქვი საქმის ვითარების გამო. საბჭოთა მეურნეობა „ვოლგა-დონში“, სადაც ჩვენ ვიყავით. შესაძლებელია, რომ საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები ეთანხმებიან ჩემს კრიტიკულ შენიშვნებს, მაგრამ ისინი ყოველნაირად ცდილობენ გაამართლონ საბჭოთა მეურნეობაში შექმნილი საკმაოდ უხეირო მდგომარეობა. ხოლო როგორც თქვენ იცით, ადამიანს ყოველთვის შეუძლია გამონახოს სიტყვები, რომ გაამართლოს ის, რაც ცუდი აქვს.

მაგრამ თუ სერიოზულად შევხედავთ საქმის ვითარებას ამ მეურნეობაში, მაშინ, ვფიქრობ, რამე გამართლებას ვერ მოვუნახავთ იმას, რომ საბჭოთა მეურნეობა „ვოლგა-დონის“ სარწყავ მიწებზე ასეთი მცირე მოსავალი მოდის. ჩვენ ვერ შევუოიგდებით ამას. ვფიქრობ, რომ საბჭოთა მეურნეობის მუშაკები და განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელები გამოიტანენ საჭირო დასკვნებს და უმოკლეს ვადაში მკვეთრად გაუმჯობესებენ საბჭოთა მეურნეობის მუშაობის მაჩვენებლებს.

იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ სარწყავი მიწათმოქმედების აღმავლობა ოლქის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, საჭიროა, რა თქმა უნდა, კარგად შევისწავლოთ სარწყავი მეურნეობის გაძღოლის საუკეთესო ნიმუშები, რათა მხარი გავუსწოროთ მათ. მაგრამ ის, რაც თქვენთან ვნახეთ, ვერ გვაკმაყოფილებს. მე ჩამოვედი თქვენთან, რათა მოგისმინოთ, ვისწავლო კარგი მაგალითებით, განვსაზღვრო, რამდენი სარწყავი მიწა უნდა გვქონდეს, რომ ამ მიწებზე მივიღოთ გარანტირებული მოსავალი დაახლოებით ერთნახევარი-ორი მილიარდი ფუთი მარცვალი ყოველწლიურად. ეს იქნება ჩვენთვის ერთგვარი დაზღვევის ფონდი.

რა თქმა უნდა, დაზღვევის ფონდი შეიძლება გვქონდეს რეზერვის შექმნის გზით — ეს მთავარია და ეს უნდა ვიღონოთ. მაგრამ, გარდა ამისა, გარკვეული რაოდენობით უნდა გვქონდეს სარწყავი მიწები, რომლებიც ყოველ ამინდში უზრუნველყოფენ უხვ მოსავალს.

მაგრამ იმან, რაც თქვენთან ვნახე და გავიგონე, როდი გამახარა. თუ ასე გავუძღვებით საქმეს, მაშინ ასეთ სარწყავ მიწებზე მოყვანილი პური შეიძლება მწარე გახდეს, იმიტომ რომ ძალიან ბევრ სახსრებს ხარჯავთ მისი წარმოებისათვის, ხოლო უკეთესის მიღწევას მეტად ძუნწად გვპირდებით. აი, მაგალითად, თქვენ გვპირდებით, რომ ჰექტარზე 20 ცენტნერ ხორბალს მოიყვანთ. იმასთან შედარებით, რის მიღებასაც მეიჩვიეთ თქვენს პირობებში, ეს თითქოს წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან ახლა საშუალოდ ჰექტარზე 8 ცენტნერი მოგყავთ. ასე რომ 20 ცენტნერი ნიშნავს ორნახევარჯერ მეტს, რაც ახლა გაქვთ. მაგრამ იმასთან შედარებით, რაც შეიძლება გაკეთდეს და კიდევაც უნდა გაკეთდეს, იმასთან შედარებით, რა მოსავალი მოჰყავთ სარწყავ მიწებზე ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების მოწინავე მეურნეობებში, ეს ძალიან ცოტაა.

ამხანაგებო! ჩვენ უნდა დავსახოთ გარკვეული მიმართულება მიწათმოქმედების განვითარებაში — საჭიროა მაქსიმალური რაოდენობით შევიტანოთ მინერალური სასუქები საუკეთესო, მაღალნაყოფიერ მიწებში.

ამას წინათ, როგორც მოგეხსენებათ, იუგოსლავიაში ვიყავი. ეს მთაგორიანი ქვეყანაა. როცა ამ ქვეყანაში ვმოგზაურობდით, ყველგან ვხედავდით მთებს, ქვიან მიწებს. მარტო ვოევოდინოშია კარგი მიწები. იუგოსლავმა ამხანაგებმა მითხრეს, ჩვენში სახელმწიფო მიწები მხოლოდ 20 პროცენტია, დანარჩენი კი ერთპიროვნულ მეურნეებს ეკუთვნითო. მაგრამ ამ 20 პროცენტზე იუგოსლავია იღებს სასაქონლო პურის 60 პროცენტს. ხორბლის მოსავალი სახელმწიფო მეურნეობებში ჰექტარზე 44 ცენტნერს აღწევს. ხორბლის ნათესებში მათ შეაქვთ მინერალური სასუქები, თესავენ უხვმოსავლიანი ჯიშების ხორბალს, მათ შორის ჩვენს ხორბალს „უფხო-1“.

ახლა კარგი ჯიშების ხორბალი და სხვა კულტურები გვაქვს. მაგრამ მინერალური სასუქები მარცვლეული კულტურების ნათესებში, როგორც წესი, არ შეგვაქვს. ხოლო რა ეფექტს იძლევა მინერალური სასუქების შეტანა მარცვლეული კულტურების ნათესებში, ამას ცხადყოფს უსტ-ლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოს მაგალითი. მიმდინარე წელს უსტ-ლაბინსკაიას სამმართველოს მეურნეობებს რამდენადმე მეტი მინერალური სასუქები მიეცათ, და მათ თითქმის 40 ცენტნერი მარცვალი მიიღეს საშუალოდ ჰექტარზე მთელ საწარმოო სამმართველოში.

ამას წინათ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს მივწერე ბარათი, რომელშიც გამოვთქვი ჩემი მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ საჭიროა გადიდდეს მინერალური სასუქების წარმოება, მოვიყვანე მონაცემები, თუ რას იწვევს მინერალური სასუქების საკმაო რაოდენობით წარმოების შეუფასებლობა და უმსგავსო დამოკიდებულება ნიადაგში ამ სასუქების შეტანისადმი. საზღვარგარეთის პრესაში ვნახე ფოტოსურათები, წავიკითხე ცნობები, რომ რუსები მინერალურ სასუქებს რკინიგზის ახლოს ყრიან, ზამთარში ეს სასუქები თოვლით იფარება, და ბიჭები ამ მთებზე ციგებით დაცურაობენ. და ეს მონაგონი კი არა, ნამდვილი ფაქტებია.

ჩვენ ცოტა მინერალურ სასუქებს ვაწარმოებთ, მაგრამ იმასაც კი, რაც გვაქვს, ბევრ შემთხვევაში უაღრესად ცუდად ვიყენებთ. საქმე იქამდე მიდის, რომ იძულებული ვართ ზოგიერთი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებს მტკიცედ მოვაგონოთ, რომ საწყობებიდან გაიტანონ მათთვის გამოყოფილი მინერალური სასუქები, ნუ ურიგდებიან იმას, რომ სასუქები თვეობით იყოს იქ ჩაწოლილი. თქვენ თვითონ ალბათ იცით ისეთი შემთხვევებიც, როცა ცალკეულ მეურნეობებში მინერალურ სასუქებს ღია ცის ქვეშ ინახავენ, ხდება ამ სასუქების გამოტუტვა. ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს. ყოველივე ეს მოწმობს, თუ რამდენად დაბალია ისეთი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დონე, რომლებიც მათთვის მინიმალური რაოდენობით გამოყოფილ მინერალურ სასუქებსაც კი ვერ იყენებენ. საზღვარგარეთ ფერმერი იყიდის მინერალურ სასუქებს და ინახავს მათ პოლიეთილენის ტომრებში, ინახავს, როგორც მარცვალს, ზოგიერთი ჩვენი ხელმძღვანელი კი სასუქებს უყურებს როგორც რაღაც ზედმეტ ტვირთს.

ჩვენ საზღვარგარეთ გაგვაქვს მინერალური სასუქები, იმიტომ რომ ჩვენმა ეკონომისტებმა ჯერ კიდევ კარგად ვერ ისწავლეს იმის გაანგარიშება, თუ რა გვიჯდება ეს. მათ რომ გამოიანგარიშონ, დაინახავენ, რომ უმჯობესია ერთი ტონა სასუქი შევიტანოთ მიწაში, რათა მივიღოთ ორ ტონაზე მეტი პური, ვიდრე საზღვარგარეთ გავიტანოთ მინერალური სასუქები. ეკონომიურად უფრო ხელსაყრელია საზღვარგარეთ გაგვქონდეს პური, ვიდრე მინერალური სასუქები, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მთლიანად დავაკმაყოფილებთ ჩვენს საშინაო მოთხოვნილებას მინერალურ სასუქებზე, შეიძლება ისინი საზღვარგარეთაც გავიტანოთ.

როგორც ჩანს, არც თქვენ ხართ გამონაკლისი მინერალური სასუქების გონივრულად გამოყენების საქმეში. განა შეიძლება, მაგალითად, მართებულად მივიჩნიოთ, რომ თქვენ ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურების ნათესებში მინერალური სასუქები დამატებით შეგაქვთ თვითმფრინავიდან მობნევით. მზრუნველი მეურნე ასე არ მოიქცევა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი ახლა პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს მინერალური სასუქების წარმოების გადიდების და, რაც მთავარია, სწორად გამოყენების საკითხებს.

ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა გავადიდოთ სასუქების წარმოება. წელს ვაწარმოებთ 20 მილიონ ტონა მინერალურ სასუქებს, ხოლო ამ სასუქების წარმოების სიმძლავრენი თითქმის 8 მილიონი ტონით უნდა გაიზარდოს. მომავალი წლისათვის დაგეგმილი გვაქვს სიმძლავრეთა ამუშავება 9 მილიონზე მეტი ტონით გავადიდოთ, რათა 1965 წელს ვაწარმოოთ 35 მილიონი ტონა მინერალური სასუქები.

(დასასრული მე-2 გვ.)

შეჯიბრების დროშით

პირობა გაანაღდეს

ახალციხის საწარმოო სამმართველოში შემავალმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად იკისრეს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის 9 თვის გეგმა ვადაზე ადრე გაანაღდებინათ.

17 სექტემბერს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის 9 თვის გეგმა 101 პროცენტით შესრულეს.

მეჯი პროდუქცია სამშობლოს

ქუთაისის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ როგორც საერთო, ისე სასაქონლო პროდუქციის გამოშვების რვა თვის დავალება 104,1 პროცენტით შეასრულა. გეგმის ზევით გამოშვებულია 289 ათასი მანეთის პროდუქცია. პროდუქციის გამოშვება გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 18,3 პროცენტით გაიზარდა. თვითღირებულების შემცირების გზით 7 თვეში მიღებულია 107 ათასი მანეთი ეკონომია. გეგმის გადამეტებით მრეწველობას გაეგზავნა 4 ტიპის ჩასაკიდი ელექტროძრავები ნავთობის მრეწველობისათვის და ათობით ელექტროცენტრიდანული ტუმბოები, საშახტე ელმავლები. რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით მიღებულია 20 ათასი მანეთი წლიური ეკონომია.

ქარხანას ბევრი მოწინავე საამქრო, უბანი და ბრიგადა ჰყავს. მათ შორის თავი ისახელეს სამომსხმელო საამქროს, ელექტრომანქანების, სპეცსმხულის უბნის კოლექტივმა.

ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა არა მარტო შეასრულოს საყრილობო ვალდებულება, არამედ ვალდებულების გადამეტებითაც მისცეს სამშობლოს ათასობით მანეთის პროდუქცია.

გ. დოგორჯგინიძე,
ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის მთავარი მექანიკოსის განყოფილების პარტბიუროს მდივანი.

თესვა დაიწყეს

სარეკი. (საკ. კორ.). საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებში წელს საშემოდგომო ხორბალი 2.100 ჰექტარზე უნდა დაითესოს. საშემოდგომო თესვას პირველი შეუდგა სოფელ ნიგზარის კოლმეურნეობა, რომელმაც პირველი ათეული ჰექტარები დათესა. ნიგზარელები გეგმის ზევით სულ მცირე 40 ჰექტარზე დათესავენ საშემოდგომო ხორბალს.

თესვა დაიწყო აგრეთვე სოფელ კორბოულის კოლმეურნეობამ. სარეკელი კოლმეურნეები იმისათვის იბრძვიან, რომ საშემოდგომო თესვა პირველი ოქტომბრისათვის დაამთავრონ და მიღწევებით შეხვდნენ ოქტომბრის 46-ე წლისთავს და საქართველოს კომუნისტთა XXII ყრილობას.

არის ცხრა თვის გეგმა

სამტრედიის ხორცისა და რძის მრეწველობის კომბინატმა 14 სექტემბრისათვის შეასრულა პროდუქციის გამოშვების 9 თვის დავალება, გეგმის გადამეტებით მისცა სამშობლოს 186.000 მანეთის ძეხვეული და სოსგული. მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება და საგრძნობლად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, რითაც კომბინატმა 172.000 მანეთი ეკონომია მიიღო.

ზესტაფონელ მეტალურგთა მოწოდების პასუხად მათი ახალი ვალდებულებაა წლიური გეგმა შეასრულონ 5 დეკემბრისათვის და ყრილობას საჩუქრად მიუძღვნან 165.000 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ნაკისრი ვალდებულების წარმატებით შესრულებისათვის კომბინატის მუშები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ ხორცისა და რძის მრეწველობის გორის კომბინატის მუშებთან.

ი. გოგოლაძე.

სწრაფად, მაღალხარისხოვნად

— **გავწმინდოთ** და სრულ კონდიციამდე ავიყვანოთ 38.753 ცენტნერი ხორბლისა და ქერის სათესლე მასალა, — ამ დეკადაში მუშაობენ გორის საწარმოო სამმართველოში შემავალი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. სოფელ შინდისის კოლმეურნეობამ უკვე მთლიანად მოიმარაგა საშემოდგომო კულტურების თესლი. აქ რაიონში პირველები შეუდგნენ თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვას, დაიწყო პირველი ათეული ჰექტარები.

დაწინაურდა დოესის კოლმეურნეობა. ტრაქტორისტები ლ. ხორბალაძე, ნ. მანჯავიძე ადრე დილიდან გვიან საღამომდე საკოლმეურნეო მინდვრებში არიან. თვითეული მათგანი საშემოდგომო კულტურების დასათესად ნიადაგის მომზადების ყოველდღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს. კოლმეურნეობამ უკვე მოიმარაგა 140 ტონაზე მეტი ხორბლისა და ქერის თესლი. **(საკ. კორ.).**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ყურძნის შესყიდვის 1963 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი რესპუბლიკაში 1963 წლის ყურძნის მოსავლის კრეფის ორგანიზებულად მოწყობისა და ყურძნის შესყიდვის შესახებ.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოსა და საწარმოო სამმართველოებს დაევალათ უზრუნველყონ, რომ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა ყურძნის მთელი მოსავალი მოკრიფონ უდანაკარგოდ და ყურძენი ჩაბარონ სახელმწიფოს. საჭიროა გაიმაღლოს ახსსრ-განმარტებითი მუშაობა იმ მიზნით, რომ ყურძნის სასაქონლო პროდუქციის მთელი რაოდენობა, რომელიც მოიკრიფება საკარმიდამო ნაკვეთებზე, მოსახლეობამ მიპყიდოს სახელმწიფოს.

ყურძნის შესყიდვის 1963 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულებამდე აკრძალულია ყურძნის გაყიდვა საკოლმეურნეო ბაზრებსა და კოლმეურნეობათა სავაჭრო წერტილებში, აგრეთვე ყურძნის საკომისიოდ მიღება სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა მიერ.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დაევალა მოაწყოს ყურძნის შეუფერხებელი ვაჭრობა ქალაქების, დაბებისა და კურორტების სავაჭრო ქსელში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკურ კონტორას წინადადება მიეცა დაუბრკოლებლად მოახდინოს ფულადი ანგარიშსწორება ყურძნისათვის, რასაც მოსახლეობა ამბობს. (საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივ კომისიაში

ამა წლის 17 სექტემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა დეპუტატი გ. ს. ვაშაკიძე.

კომისიის სხდომას, გარდა კომისიის წევრებისა, დაესწრნენ: ბათუმის, თელავის, ჭიათურის საქალაქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები ზ. ვარშანიძე, გ. ხუციშვილი, უ. სხირტლაძე, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრი ვ. ბაატაშვილი, „საქმიდროენერგომშენის“ ტრესტის მმართველი ი. მღებრიშვილი, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე მ. მაღრაძე, საკურორტო სამმართველოს უფროსი პ. ჩიკვილაძე, საქართველოს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი ა. ლომინაძე და სხვები, სულ 23 კაცი.

კომისიამ განიხილა ქ. ბათუმში, თელავში, ქობულეთსა და ჭიათურაში საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის საკითხი.

მოხსენება გააკეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. ს. ვაშაკიძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა ვ. პაატაშვილმა, მ. მაღრაძემ, ბათუმის და ჭიათურის საქალაქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა ზ. ვარშანიძემ, უ. სხირტლაძემ, საკურორტო სამმართველოს უფროსმა პ. ჩიკვილაძემ, მუდმივი კომისიის წევრებმა: ა. ვარდოშვილმა, ვ. გოცირიძემ, ზ. ჯაფარიძემ, ზ. პატარიძემ და სხვებმა.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ამხანაგებმა მკაცრად გააკრიტიკეს ბათუმის, თელავის, ქობულეთისა და ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომების მუშაობის ნაკლოვანებანი საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის საკითხში.

კომისიამ მიიღო დადგენილება, რომ საკითხი შეტანილი იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად.

ხუთი კონტინენტის ჟურნალისტთა შეხვედრა

თგომავალი „ლიტვა“ პირეოფში

ათენი, 17 სექტემბერი. (საკდესი). დღეს პირეოს ნავსადგურში მოვიდა საბჭოთა თბომავალი „ლიტვა“, რომელზეც იმყოფებიან ჟურნალისტთა III მსოფლიო შეხვედრის მონაწილენი. ჩამოსულებს გულთბილად შეხვდნენ საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები.

ათენი, 18 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ საბჭოთა თბომავალი „ლიტვა“ რომელზეც არიან ჟურნალისტთა III მსოფლიო შეხვედრის მონაწილენი, გავიდა საბერძნეთის ნავსადგურ პირეოდან და გაემართა იტალიის ნაპირებისაკენ ნეაპოლში გზად მიმავალი.

დამხვდურთა შორის იყვნენ საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების თავმჯდომარე დოქტორი სპილიოპულოსი, გაზეთ „ავგის“ დირექტორი პარასკევოპულოსი, საბერძნეთის ეროვნული გმირი მანოლის გლეზოსი და სხვები.

ათენი, 18 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ საბჭოთა თბომავალი „ლიტვა“ რომელზეც არიან ჟურნალისტთა III მსოფლიო შეხვედრის მონაწილენი, გავიდა საბერძნეთის ნავსადგურ პირეოდან და გაემართა იტალიის ნაპირებისაკენ ნეაპოლში გზად მიმავალი.

უკანასკნელ საათის

ამერიკა აღფოთებულია

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. (საკდესი). აღფოთების ზვირთმა შეარყია შეერთებული შტატები, ათასობით დემონსტრანტი, ზანგები და თეთრკანიანები. მთელ ამერიკაში გამოთქვამენ თავიანთ აღფოთებას ბარბაროსული დანამუღის გამო: ექვსი ზანგი ბავშვის დახოცვის გამო, რაც 15 სექტემბერს მოხდა ბირმინჰემში. დემონსტრანტები გამოთქვამენ გულისწყრომას მთავრობის პასიურობის გამო და მოითხოვენ, რომ მთავრობამ მიიღოს გადამჭრელი ზომები რასისტთა ასალაგმავად.

ბირმინჰემში ათას ხუთასზე მეტმა ზანგმა პატივი სცა 14 წლის კეროლ რობერტსონის ხსოვნას, რომელიც რასისტებმა მოკლეს.

საბერძნეთში დაამტკიცეს მოსკოვის ხელშეკრულება

ათენი, 17 სექტემბერი. (საკდესი). საბერძნეთის პარლამენტმა დღეს განუხილველად დაამტკიცა ატომური იარაღის ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ გამოცდის აკრძალვის შესახებ მოსკოვის ხელშეკრულების რატიფიკაციის კანონი.

ვიზიტი ბრაზილიაში

ბელგრადი, 18 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო გაფრინდა ბრაზილიაში სახელმწიფო ვიზიტად. პრეზიდენტი ტიტო ეწვევა აგრეთვე ჩილეს, ბოლივიასა და მექსიკას.

ვიზიტის უნუგეშო შედეგები

ვაშინგტონი, 18 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი **ვ. ვაშედჩენკო** იტყობინება:

ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ლ. ჯონსონი გუშინ სკანდინავიაში ორი კვირის მოგზაურობიდან დაბრუნდა, სადაც იგი იმყოფებდა „კეთილი ნების ვიზიტად“. იგი ეწვია შვეიცარიას, ფინეთს, ნორვეგიას, დანიასა და ისლანდიას.

ლ. ჯონსონის სკანდინავიის ქვეყნებში გამგზავრების იდეა წამოაყენა სახელმწიფო მდივანმა დ. რასკმა და მხარი დაუჭირა პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ. როგორც ვაშინგტონის გაზეთი „სტარი“ აღნიშნავს, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ამოცანა იყო „კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა, რომ საჭიროა თავისეული ფეხზლად იყოს: შეინარჩუნოს მიზნების ერთობა და ემზადებოდეს თავდაცვისათვის ყოველი შესაძლო კომუნისტური აგრესიის წინააღმდეგ. ეს კი ნიშნავს ნატოს გაძლიერებას...“

ჯონსონს უნდა გაეფრთხილებინა სკანდინავიის ქვეყნები, აღნიშნავს „სტარი“, რომ ახლა არ არის დრო, რომ გულარხეინობა გამოიჩინონ და სიფხიზლე შეანელონ.

ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი მოგზაურობის დროს აშინებდა სკანდინავიის ქვეყნებს რაღაც მითური „საფრთხით“, მოუწოდებდა ამ ქვეყნების მთავრობებსა და ხალხებს „არ შეცდნენ იმით, რომ დაისახა საერთაშორისო დაძაბულობის შენელება“.

მაგრამ ჯონსონის მოწოდებებს მხარი არ დაუჭირეს სკანდინავიის ქვეყნების ხალხებმა და სავსებით გარკვეულად განუცხადეს მას ეს. ვაშინგტონში დაბრუნებისას ლ. ჯონსონი შეჩერდა რეიკიავიკში (ისლანდია). აქ მის ჩასვლასთან დაკავშირებით გაემართა მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია.

დემონსტრაციის მონაწილეებმა მოითხოვეს მოაშორონ ისლანდიას ამერიკის სამხედრო ბაზები და ჯარი.

სკანდინავიაში ჯონსონის მოგზაურობის დროს სკანდინავიის ქვე

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

(დასასრული)

35 მილიონი ტონა — ეს ამერიკის შეერთებული შტატების 1962 წლის დონეა. 1962 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აწარმოეს 35 მილიონი ტონა მინერალური სასუქები. იქ ფერმერთა მოთხოვნილებას მინერალურ სასუქებზე მთლიანად აკმაყოფილებენ, რაც საშუალებას აძლევს ფერმერებს გადიდონ მარცვლის წარმოება ჰექტარზე უმთავრესად სიმინდით. ამის შედეგად ამერიკის შეერთებულ შტატებში მცირდება ნათესები, თუმცა, მაგალითად, იქ საშემოდგომო ხორბლის მოსავალი შედარებით ცოტაა, ჰექტარზე საშუალოდ 16,4 ცენტნერია.

ჩვენ მკვეთრად უნდა გავადიდოთ მინერალური სასუქების წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის. მაგრამ ახლავე უნდა გამოვყოთ 1964 წლისათვის მინერალური სასუქების გარკვეული რაოდენობა იმ რაიონებისათვის, სადაც უფრო ხელსაყრელი პირობებია ხორბლის უხვი მოსავლის მოსაყვანად.

მე ყურადღებით მოვისმინე თქვენი გამოსვლები. თქვენ საქმე იცით. ახლა კარგად უნდა მოვიფიქროთ, თუ რომელი კულტურების ნათესებში უფრო ხელსაყრელია მინერალური სასუქების შეტანა, მეტ ეკონომიურ ეფექტს რომ მივაღწიოთ, მეტი მარცვალი რომ მივიღოთ. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მინერალური სასუქების 34 პროცენტი შეაქვთ სიმინდის ნათესებში, და 1962 წელს სიმინდის საშუალო მოსავალმა იქ ჰექტარზე 40 ცენტნერზე მეტს მიაღწია. ამერიკის შეერთებულ შტატებში საშუალოდ ერთ ჰექტარ ნახნავში შეაქვთ 227 კილოგრამი მინერალური სასუქები, დასავლეთ გერმანიაში — 1.050, ინგლისში — 766, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — 715, საფრანგეთში — 507 კილოგრამი, ჩვენში კი საშუალოდ 70 კილოგრამი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ თითქმის მთელი მინერალური სასუქები ჩვენ ტექნიკური კულტურების ნათესებში შეგვაქვს, მაშინ მარცვლეულის ნათესებში თითქმის არაფერი არ შეგვაქვს. ერთი სიტყვით, ეს ისეთი საკითხია, რომელიც ყოველმხრივ და ყურადღებით უნდა შევისწავლოთ.

რატომ მოხდა, რომ ჩამოვრჩით მინერალური სასუქების წარმოებაში? ჩვენ ვრცელი მინდვრები გვაქვს, და ნათესი ფართობების გადიდების გზით მივდიოდით. ახლა, როგორც ჩანს, საჭიროა მთავარი ყურადღება მივაპყროთ მოსავლიანობის ამაღლების საკითხს, მაშასადამე, მინერალური სასუქების წარმოებას. ამით შევძლებთ გავადიდოთ საერთო მოსავალი და გავაიაფოთ პროდუქცია.

ჩვენ დაგეგმილი გვაქვს მინერალური სასუქების წარმოება 1970 წლისათვის დაახლოებით 100 მილიონ ტონამდე გავადიდოთ. მომავალშიც განვავითარებთ მინერალური სასუქების წარმოებას.

კიდევ ერთხელ უნდა გავუსვა ხაზი, რომ საჭიროა ჩავუფიქრდეთ, თუ რომელ რაიონებში და რა კულტურათა ნათესებში შევიტანოთ პირველ რიგში სასუქები. მაგალითად, ავიღოთ ყუბანი. წელს კრასნოდარის მხარე სახელმწიფოს მიჰყიდის 200 მილიონ ფუთ პურს. 5-7 წლის წინათ კი იგი იძლეოდა 100-110 მილიონ ფუთს. თუ იქ, მაგალითად, ჰექტარზე შევიტანთ 1.000 კილოგრამ სასუქს, მაშინ, როგორც ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო სელექციონერი აკადემიკოსი ამხანაგი ლუკიანენკო ამბობს, მის მიერ გამოყვანილი ჯიში „უფხო-1“ ჰექტარზე მოგვცემს საშუალოდ 50-60 ცენტნერ მოსავალს. ეს, ამხანაგებო, 50-60 ცენტნერი ხორბალია! ხოლო 50-60 ცენტნერი სიმინდის მიღება ყუბანში უფრო ადვილია, ვიდრე ხორბლისა.

როსტოვის ოლქში პირობები რამდენადმე უფრო ხელსაყრელია, ვიდრე კრასნოდარის მხარეში. მაგრამ იქაც არის დიდი პოტენციური შესაძლებლობანი. კარგი მიწებია აგრეთვე სტავროპოლის მხარის დასავლეთ ნაწილში, კარგი პირობებია ჩრდილოეთ ოსეთში, ყაბარდო-ბალყარეთში, ერთი სიტყვით, საჭიროა კარგად გავერკვეთ ამ საკითხში და ვნახოთ, თუ სად არის უფრო ხელსაყრელი პირობები, რამდენად შეიძლება ნაყოფიერი მიწების გამოყენება, რომლებშიც პირველ რიგში უნდა შევიტანოთ მინერალური სასუქები, გამოვიყენოთ ტექნიკა უხვი მოსავლის მიღებისათვის.

რაც შეეხება ბრინჯის წარმოებას, ყველაზე იაფი ბრინჯი, როგორც ჩანს, გვექნება ყუბანში და როსტოვის დონის ნოლა მიწებში. ეს უკვე ათვისებული რაიონებია. იქ არის საკვლევი ინსტიტუტები და საცდელი სადგურები, არიან კვალიფიციური კადრები. ვფიქრობ, რომ მინერალური სასუქები კარგ შედეგს მოგვცემენ კიროვოგრადის პოლტავის ჩრდილოეთ რაიონებში. აქ ასევე შეიძლება მარცვლის უხვი მოსავლის მიღება. მაგალითისათვის მომყავს ჩემი შშობლიური კალინოვკა. წელს კალინოვკაში მკაცრი კლიმატური პირობები იყო. მაგრამ კალინოვკელებმა საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 24 ცენტნერი ჭვავი, 21 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი, ხოლო „მირონოვული-808“ ჯიშის ხორბალი — 43 ცენტნერი, „კუნცევური-45“ ჯიშისა — 34 ცენტნერი, ბარდა — საშუალოდ 24 ცენტნერი. აი იმის მაგალითი, თუ როგორ მოჰყავთ მოწინავე მეურნეობებს, რომლებიც სასუქებს იყენებენ, უხვი და მყარი მოსავალი ამინდის არახელსაყრელ პირობებშიც კი.

თუ ავამაღლებთ მიწათმოქმედების კულტურას და საჭირო ნორმით მივცემთ მეურნეობებს მინერალურ სასუქებს, ამ ზონის რაიონებში, მათ შორის კურსკის, ორიოლის, ტულის, კალუგის, რიაზანის, ტამბოვის, ლიპეცკის, ნაწილობრივ ვორონეჟისა და სხვა ოლქებში გაცილებით მეტი პურის მიღება შეიძლება, ვიდრე ახლა ვიღებთ. ახლა აქ დაახლოებით 10 ცენტნერს იღებენ ჰექტარზე, სინამდვილეში კი 3-4-ჯერ მეტის მიღება შეიძლება.

მაშასადამე, აქ ჩვენ, როგორც მზრუნველმა მეურნეებმა, უნდა გადავწყვიტოთ, თუ რა პროპორციით, სად და რა კულტურისათვის სჯობს სახსრების გამოყენება. ამასთან მე არათუ არ გამოვრიცხავ, არამედ აუცილებლად მიმაჩნია ირიგაცია. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენ მაინც უფრო სწრაფად მივიღებთ პურს საჭირო რაოდენობით, თუ ამ რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მინერალურ სასუქებს მივცემთ და, რა თქმა უნდა, უზრუნველვყოფთ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას.

ამხანაგო ხელმძღვანელებო, ჩვენ ახლა გადაჭრით უნდა გავაუმჯობესოთ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობა. ჩვენ საწარმოო პრინციპით გარდავქმენით პარტიული ორგანიზაციების სტრუქტურა. ეს სწორი და საჭირო ღონისძიებაა. მაგრამ ადამიანებს ძველი ჩვეულებები შერჩათ, ზოგიერთი მუშაკი ვერ გადაეჩვია ხელმძღვანელობის ბიუროკრატიულ სტილს: გზავნიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დეპეშებს, ტელეფონით „აჭახრაკებენ“ საქმეს, მოსავალი კი ამით როდი მატულობს. ეს იმიტომ ხდება, რომ არც თვითონ, არც იმათ, ვისაც მოთხოვნებს უყენებენ, ხშირად ხეირიანად არ იციან, თუ რა საშუალებით აამაღლონ მოსავლიანობა, მოიყვანონ მეტი ხორბალი. ასეთი ხელმძღვანელობით პური არ მოგვემატება.

უნდა ვისწავლოთ, ამხანაგებო! სოფლის მეურნეობაში საქმეს ისევე უნდა მივუდგეთ, როგორც მრეწველობაში. არც ერთი ქარხნის დირექტორი ხომ არ მიუშვებს მუშას ჩარხთან, თუ მას კვალიფიკაცია არა აქვს, არ შეუძლია ჩარხის მართვა. სოფლის მეურნეობაში კი ხშირად ყოველი პროფანი არათუ თვითონ მუშაობს, სადაც მოესურვება, არამედ იმასაც კისრულობს, რომ სხვებს ასწავლოს, თუმცა საქმისა თვითონაც ხეირიანად არაფერი გაეგება.

ცოდნის შეძენა, მეცნიერების მიღწევების, მოწინავე გამოცდილების დაუფლება — აი რა არის ახლა მთავარი. საჭიროა კარგად ვასწავლოთ ადამიანებს, ვასწავლოთ და გამოვცადოთ. ამ ახალი მოთხოვნების შესაბამისად უნდა გადავსინჯოთ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სისტემაც. ყუბანელი მექანიზატორი ვ. სვეტლიჩნი ერთი ცენტნერი შაქრის ჭარხლის წარმოებაზე 11,7 წუთს ხარჯავს, სხვები კი — 2,5 საათს. ხოლო განსხვავება შრომის ანაზღაურებაში, როგორც ჩანს, ამ მუშაკებს შორის დიდი არ არის. საჭიროა შევასწავლოთ ადამიანებს შაქრის ჭარხლის მოყვანის პროგრესული წესი, დავაინტერესოთ ისინი, ისე მოვაწყოთ საქმე, რომ მათ სწავლის, ახალი ტექნოლოგიისა და ტექნიკის დაუფლების მატერიალური სტიმული ჰქონდეთ.

აქ არიან ამხანაგები შუბლაძე და კორნევი. ისინი იმ საკავშირო რესპუბლიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან, რომლებიც რწყვის საკითხებზე მუშაობენ. მე გთხოვთ, ამხანაგებო, გამოიანგარიშოთ, თუ სად, რომელ რაიონებშია ყველაზე ხელსაყრელი ირიგაციაში სახსრების დაბანდება ისე, რომ ამ რაიონების სარწყავ მიწებზე ერთნახევარი-ორი მილიარდი ფუთი მარცვალი მოვიყვანოთ.

სარწყავ მიწებზე, როგორც ჩანს, ყველაზე ხელსაყრელია ბრინჯის თესვა, ბრინჯის შემდეგ უნდა დავაყენოთ სიმინდი, როგორც კულტურა, რომელსაც დიდი პოტენციური შესაძლებლობანი აქვს. განსვენებულ მარკ ოზიორნის ჰექტარზე 224 ცენტნერი მარცვალი მოჰყავდა. სიმინდის უხვი მოსავლით განთქმული არიან იური პიტრა, ანა ლადანი და სხვა იმიერკარპატელი მესიმინდეები. ამერიკელებს სარწყავ მიწებზე საშუალოდ ჰექტარზე 80 ცენტნერი მარცვალი მოჰყავთ. ყაზახეთში „ოქტომბრის 40 წლისთავის“ სახელობის კოლმეურნეობაში დაახლოებით ასეთსავე მოსავალს იღებენ. მე, რა თქმა უნდა, კარგ მეურნეობას ვიღებ. მაგრამ თუ უგუნურად ფანტე მინერალური სასუქები, დიდ მოსავალს ვერ მიიღებ. საჭიროა საქმის ცოდნით ვანოყიერებდეთ მიწებს.

ამხ. შუბლაძე ირიგაციის საკითხებში ორიენტაციას იღებს უზბეკეთზე, ტაჯიკეთზე, ყაზახეთსა და თურქმენეთზე. ეს, შეიძლება ითქვას, სწორია, იმიტომ რომ იქ რწყვის უფრო მაღალი კულტურაა. იგი საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა. თვით ცხოვრება აიძულებდა ხალხს მოერწყა მიწები.

შუა აზიაში ორი მოსავლის მოყვანა შეიძლება. ჯერ შეიძლება მოვიყვანოთ ბარდა, შემდეგ კი დავთესოთ სიმინდი, მივიღოთ ბაზი სიმწიფის ტაროები, რომლებიც მწვანე მასასთან ერთად სრულფასოვან საკვებს მოგვცემს მეცხოველეობისათვის.

ჩვენ ჯეროვნად ვაფასებთ ამ რაიონებს, დიდ იმედს ვამყარებთ ვოლგისპირეთის მიწებზეც. აქ ბევრია წყალი და სითბო, დიდი შესაძლებლობანი გვაქვს სამხრეთ უკრაინაში, ყუბანსა და დონის მხარეში.

საჭიროა განვაგრძოთ ვოლგა-ახტუბის ნოლა მიწების შესწავლა. როგორც ჩანს, უკვე დადგა დრო სერიოზულად მოვკიდოთ ხელი ქვემო ვოლგის სადგურის მშენებლობას და ამავე დროს გავითვალისწინოთ ახტუბის ნოლა მიწები. ეს მიწები, ხატოვნად რომ ვთქვათ, ჩვენი დიდი ბოსტანი უნდა გახდეს.

დგება აგრეთვე საკითხი: რა კულტურების მოყვანაა ყველაზე ხელსაყრელი ვოლგოგრადის რაიონის სარწყავ მიწებზე? ეჭვი არ მეპარება, რომ აქ უნდა მოვიყვანოთ საგვიანო კომბოსტო, როგორც თქვენ აკეთებთ. შეიძლება აქ ღირდეს საადრეო კომბოსტოს მოყვანა, ხოლო საგვიანო კომბოსტო თათრეთიდან ან სხვა ადგილიდან შემოგვეტანა. მაგრამ არ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ ვოლგა-დონის არხის ზონის სარწყავ მიწებზე ჰექტარზე 200 ცენტნერ კომბოსტოს იღებენ. ასეთი კომბოსტო ოქროს ფასად ჯდება. მოსკოვის მიდამოებში ისეთი კომბოსტო მოდის, მკლავებს ვერ შემოაწვდენ, აქ კი მოწყვეტ და ჯიბეში ჩაიდებ. განა ეს კომბოსტოა?! ვის რათ უნდა ასეთი ირიგაცია?

მერე და რამდენ კაცს მოჰყავს ეს კომბოსტო, ვერც კი დაითვლი. განა შეიძლება, რომ ჩვენს დროში ხელით ამუშავებდე მინდორს? აქ ამბობდნენ, რომ კომბოსტო ანაზღაურებს მისი მოყვანის ყველა ხარჯს. ეს ხომ იმიტომ ხდება, რომ ფასებია მაღალი. მაგრამ ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს.

ჩემი ცხოვრების მანძილზე ბევრი სარწყავი მიწა მინახავს. სიჭაბუკე დონბასში გავატარე. იქ მებოსტნე ბულგარელებს პატარა სარწყავ ბოსტნებში წელიწადში სამი მოსავალი მოჰყავდათ და ბოსტნეულს იაფად ჰყიდდნენ. ჩვენთვის კი თანამედროვე ტექნიკის დროს სამარცხვინოა, რომ მცირე მოსავალს ვიღებთ და ბოსტნეული ასე ძვირია.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების თვითღირებულების შემცირება, ამხანაგებო, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, და ჩვენ მას დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ.

დღეს ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა „ვოლგა-დონის“ საბჭოთა მეურნეობის დირექტორისა და აგრონომის ამხანაგების შტეპოსა და შჩებლანოვას მიმართ. ვფიქრობ, რომ ისინი საჭირო დასკვნებს გამოიტანენ. ამბობენ, ზოგი ჭირი მარგებელიაო. ჩვენ მივვაჩნია, რომ თქვენ გამოასწორებთ მდგომარეობას. იმუშავეთ, გვიჩვენეთ თქვენი უნარი, რა თქმა უნდა, დახმარებას გაგიწევთ.

ამხანაგი შტეპკო განათლებით ინჟინერია. მაგრამ თუ ინჟინერმა პამიდორის მოყვანას მოჰკიდა ხელი, უნდა შეისწავლოს ეს კულტურა. თუ არ გეცოდინება, როგორ უნდა მოიყვანო პამიდორის უხვი მოსავალი და მხოლოდ აკლებში იკლი, მაშინ საქმეს სარგებლობას ვერ მოუტან. ჩვენ — კომუნისტებმა უბრალოდ კი არ უნდა ვიმსახუროთ, არამედ კარგად უნდა ვემსახუროთ საქმეს, რომელიც მოგვანდეს. საჭიროა თვითეულმა კომუნისტმა, თვითეულმა ხელმძღვანელმა შემოქმედებითად, გატაცებით იმუშაოს.

აქ გამოსულმა ამხანაგებმა წამოაყენეს საკითხი, რომ შეიქმნას ორგანო, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მთელ საირიგაციო სამუშაოებს უხელმძღვანელებს. ჩვენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ვიმსჯელეთ ამის გამო და გამოვიტანეთ დასკვნა, რომ ასეთი ორგანო საჭიროა. იგი პასუხს უნდა აგებდეს არა მარტო სარწყავი სისტემების მშენებლობისათვის, არამედ მთელი მათი ექსპლოატაციისთვისაც, იმისათვის, თუ რა და რამდენ პროდუქციას მოგვცემენ მინდვრები. მაშ როგორ? ის, რომ წყალი მინდვრებზე უნდა მოედინებოდეს, თავისთავად იგულისხმება. მთავარია იცოდე უხვი მოსავლის მოყვანა, მეტი პროდუქციის მიღება.

ხმა ადგილიდან. ჩვენს საბჭოთა მეურნეობას სულ 12 ათასი ჰექტარი სახნავი აქვს, აქედან სარწყავი მიწები — 3.000 ჰექტარი. მიზანშეწონილი იქნება სარწყავი მიწები დამოუკიდებელ მეურნეობად გამოვყოთ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. სწორია. ურწყავი და სარწყავი მიწები უნდა განცალკევდეს. მოიფიქრეთ, როგორ გააკეთოთ ეს უკეთ თქვენს ოლქში, რა თქმა უნდა, შტატების მოუმატებლად. მკაცრად უნდა განსაზღვროთ, კონკრეტულად ვინ აგებს პასუხს საირიგაციო სისტემების მდგომარეობისა და მათი ექსპლოატაციისათვის. ხში რ ად ექსპლოატაცია ვიწროდ ესმით — ოღონდ წყალი მოდიოდესო. ჩემი აზრით კი, ექსპლოატაციად უნდა ვგულისხმობდეთ ყველა სამუშაოს, თვით მთავარ მიზანსაც კი — უხვი მოსავლის მიღებას.

აქ ლაპარაკობდნენ საწვიმებელ მანქანებზე. ეს საკითხი კიდევ უნდა შევისწავლოთ.

ხმა ადგილიდან. ახლა შექმნილია ახალი საწვიმებელი დანადგარის საცდელი ნიმუში. სეზონის განმავლობაში ამ მანქანას 250 ჰექტარის მორწყვა შეუძლია. საჭიროა მოეწყოს ახალი დანადგარის სახელმწიფო გამოცდა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ინჟინერებელ მანქანებთან მეუფავ — ოცდაათი ... [illegible] — ... [illegible] ... ამ-მთავრებულია.

გავერკვეთ. თუ საჭიროა, გამოვცდით ახალ ნიმუშს. მე ვეტყვი რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელებს, რომ შეისწავლონ ეს საკითხი.

კიდევ რა გჭირდებათ?

ხმა ადგილიდან. მილების საქმე როგორ იქნება?

ნ. ს. ხრუშჩოვი. მილებისა? ეს საკითხი, როგორც იტყვიან, უნდა მოვიფიქროთ.

ხმა ადგილიდან. ლითონის მილებზე როდი მოგახსენებთ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მე თქვენთან მომარაგების განყოფილებიდ ა ნ როდი ჩამოვსულვარ. მილების საკითხი ის საკითხი როდია, რომელიც ახლა უნდა გვაინტერესებდეს. მე მინდა მოვისმინო თქვენი აზრი, მოგვთათბიროთ იმის შესახებ, თუ როგორ ავიყვანოთ სარწყავ მიწებზე მარცვლის წარმოება ორ მილიარდ ფუთამდე. მე მჯერა, რომ ეს რეალური ამოცანაა,

უზბეკები და ტაჯიკები სარწყავი მიწათმოქმედების დიდი ოსტატები არიან. ერთი ნახეთ, რა უნარიანად უძღვებიან საქმეს კოლმეურნეობაში, რომელსაც ხამრაკულ ტურსუნკულოვი ხელმძღვანელობს. ეს კაცი უბრალო გლეხია, ირიგაციის საკითხებში კი აკადემიკოსია. რა შესანიშნავი მოსავალი მოჰყავს ამ ოსტატს! ამხანაგმა ტურსუნკულოვმა მიამბო, რომ, როცა მის ბრიგადირს მეზობელ კოლმეურნეობაში გადაყვანა დაუპირეს, მან განაცხადა: ვიდრე ბრიგადირი მოგცეთ, სჯობს ბარემ კოლმეურნეობა შემოგვიერთეთო. ასეც მოიქცნენ. ერთი წლის განმავლობაში ტურსუნკულოვმა ჩამორჩენილი შემოერთებული კოლმეურნეობის მიწებზე ბამბის მოსავლიანობა ჰექტარზე 11-დან 26 ცენტნერამდე აიყვანა. ხამრაკულ ტურსუნკულოვი სამგზის სოციალისტური შრომის გმირია. და იგი ამართლებს ამ მაღალ წოდებას. უზბეკეთში ერთი როდია მებამბეობის ისეთი ოსტატი, როგორიც ამხანაგი ტურსუნკულოვია.

ხმა ადგილიდან. ჩვენთვის სარწყავი მიწათმოქმედება ახალი საქმეა. პირველად მოვკიდეთ ამას ხელი.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ამხანაგებო, ჩვენ ხომ კომუნიზმსაც პირველად ვაშენებთ. და წარმატებით ვაშენებთ, მტკიცედ მივდივართ წინ.

გმადლობთ, ამხანაგებო, საუბრისათვის. გისურვებთ წარმატებას.

ქვემო ვოლგისპირეთის დიდი ქიმია

ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია ვოლჟსკის ქიმიურ კომბინატს

ვოლგოგრადი, 18 სექტემბერი. (პრესჯგუფი). გუშინ ახალგაზრდა ქალაქ ვოლჟსკის ქიმიოსებს დიდი დღე ჰქონდათ. მათ ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. ვოლჟსკის ქიმიური კომბინატი უახლოეს დროში გახდება ჩვენი ქვეყნის დიდი ქიმიის უმსხვილესი საწარმო. თავის შექმნას იგი უნდა უმადლოდეს ჰიდროშენებლებს, რომლებმაც ვოლგოგრადთან აღმართეს ენერგეტიკული გიგანტი — სკკპ XXII ყრილობის სახელობის ჰიდროელექტროსადგური.

ამ ცოტა ხნის წინათ ქიმიურ მრეწველობას უმნიშვნელო ხვედრითი წონა ჰქონდა ქვემო ვოლგისპირეთის მძიმე ინდუსტრიაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1958 წლის) პლენუმის შემდეგ ამ ეკონომიურ რაიონში ქიმია სწრაფად განვითარდა. ამოქმედდა ახალი სანმლოვრები, პროდუქციის მთლიანი მოცულობა კი მკვეთრად გაიზარდა.

სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის სწრაფ ზრდას ცხადყოფს ვოლჟსკის ქიმიური კომბინატის მაგალითი. ქვემო ვოლგის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. დ. ბელიაევმა ნიკიტა სერგის-ძეს გააცნო მშენებლობის გენერალური გეგმა. გავა ორი-ორნახევარი წელი, და კომბინატის შვიდივე ქარხანა ამუშავდება სრული სიმძლავრით. მაგრამ ახლაც კი ჩვენი ქვეყანა უკვე იღებს ვოლჟსკელ ქიმიკოსთა ნაწარმს.

...სინთეზური კაუჩუკის ქარხანა ახამუშავებელი ობიექტია. აქ გაჩაღებულია სამონტაჟო სამუშაოები. ამხანაგი ხრუშჩოვი დაინტერესდა, რა შესაძლებლობები შეიქმნება საწარმოს ამუშავების შემდეგ ხელოვნური კაუჩუკის წარმოების გადიდებისათვის.

— რა ედება საფუძვლად კაუჩუკის წარმოებას — სპირტი თუ გაზი? — იკითხა ნიკიტა სერგის-ძემ.

— გაზის საფუძველი, უსპირტოდ, — მიუგო ამხ. ბელიაევმა.

— ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი. — იზოპრენის კაუჩუკი ძალიან უახლოდება ნატურალურ კაუჩუკს. უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა მისი წარმოების გადიდებისათვის.

ამხანაგი ხრუშჩოვი სთხოვს უამბონ, შესაძლებელია თუ არა კაუჩუკის მოქმედ ქარხნებში შემოიღონ ახალი ტექნოლოგია, შესაძლებელია თუ არა მათი რეკონსტრუქცია?

— მგონი, რეკონსტრუქცია გამორიცხულია, — ამბობს ამხ. ბელიაევი, — მაგრამ ეს ჩემი პირადი აზრია.

ნიკიტა სერგის-ძე არ დაეთანხმა ამ აზრს. მან ურჩია მოიფიქრონ, უფრო მიზანშეწონილი ხომ არ იქნება ძველი მოწყობილობა შეცვალონ ახალი მოწყობილობით, რათა კარგი კაუჩუკი გამოუშვან.

ამხანაგი ხრუშჩოვი დაინტერესდა, რა მოწყობილობას ამონტაჟებენ ქარხანაში. თითქმის მთელი მოწყობილობა დამზადებულია საბჭოთა საწარმოებში. არის ყველა პირობა, რომ ძველი ქარხნები აღჭურვონ თანამედროვე მოწყობილობით და აითვისონ ახალი ტექნოლოგია.

— მოსკოვში რომ დავბრუნდები, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — ვურჩევ ამხანაგ ბაიბაკოვს მოიფიქროს ეს საკითხი და, ეგებ, სჯობდეს თქვენ და თქვენს ინჟინრებს დაგეკვალონ მისი დამუშავება. თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ, როგორ გარდავქმნათ წარმოება შეუჩერებლივ, ისე, რომ ნაკლები ზიანი მიადგეს საქმეს.

ამხანაგი ხრუშჩოვი კვლავ და კვლავ უბრუნდება პროდუქციის ხარისხის საკითხს. მას აინტერესებს, გამოუშვებს თუ არა ქარხანა საცვლელ პროტექტორულ რგოლებიან სალტეებს, რა კორდს დაიყენებენ — ლითონის თუ კაპრონისას. ყოველივე ეს დაკავშირებულია სალტეების ხანგამძლეობასთან.

„ვოლგოგრადჰიდრომშენის“ მთავარმა ინჟინერმა ი. ს. აბრამოვმა ნიკიტა სერგის-ძეს უჩვენა ალბომი — კომბინატის მშენებლობის თავისებური მატიანე. ფოტოსურათები მოწმობენ, თუ როგორ შენდებოდა ცარიელ ველში საამქროებისა და ქარხნების კორპუსები. სულ ახლ და ახლ ფურცლებს ფრქა ამ მატიანეში ახლა კომბინატის ათასობით მშენებელი, მემონტაჟე და მუშა. უკვე გარკვევით მოჩანს ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის კონტურები, საცაა პირველ პროდუქციას გამოუშვებს სინთეზური კაუჩუკის ქარხანა, ხოლო ანბოტექნიკური ნაწარმის ქარხანა უკვე უგზავნის საწარმოებს სამუშაოო ზესადებებსა და ზონარს, ძაფსა და ქსოვილს. ამხანაგი ხრუშჩოვი შეჩერდა მზა პროდუქციის მაგიდასთან. ფრიქციული ნაწარმის საამქროს უფროსის მოადგილე ზ. დ. ლოშადკინა უჩვენებს ეს-ეს არის დამზადებულ დეტალებს, განმარტავს მათ დანიშნულებას...

ნ. ს. ხრუშჩოვმა დაიარა საამქროები, მეგობრულად ესაუბრა სახელოსნო სასწავლებლის კურსდამთავრებულს ვალენტინ კონონოვს, მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს. იგი დაინტერესდა მათი ცხოვრებით, შრომის პირობებით, ხელფასით.

კომბინატის დათვალიერება დამთავრდა. ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა სახალხო მეურნეობის საბჭოს, ქარხნების ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს. საუბრის დროს განიხილეს ქვემო ვოლგის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ქვემო ვოლგისპირეთის სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების საკითხები.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია საბჭოთა მეურნეობა „ბუზანსკის“, სადაც დათვალიერა სხვადასხვა სატუმბი სარწყავი დანადგარები და მანქანები, რომლებიც მას გააცნო „საკსოფლტექნიკის“ ასტრახანის სარემონტო-მექანიკური ქარხნის დირექტორმა ი. მ. ავდეევმა. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დათვალიერა სიმინდისა და სუდანურას ყანები, ესაუბრა საბჭოთა მეურნეობის დირექტორს თ. კ. ბონდარენკოს, საწარმოო სამმართველოს სპეციალისტებსა და მუშაკებს.

ნ. ს. ხრუშჩოვი ქვემო ვოლგისპირეთში

ასტრახანი, 18 სექტემბერი. (პრესჯგუფი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც აქ იმყოფება, დღის პირველ ნახევარში პარტიის საოლქო კომიტეტში ესაუბრა ასტრახანის ოლქის ხელმძღვანელ მუშაკებს, ჰიდრომშენებლებს, ირიგაციორებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს. საუბრის დროს განიხილეს ქვემო ვოლგის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ქვემო ვოლგისპირეთის სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების საკითხები.

ასტრახანი, 18 სექტემბერი. (პრესჯგუფი). ჩვენს ქვეყანაში უდიდესი სამუშაოები წარმოებს ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებისათვის. დაიწყო შეტევა ქვემო ვოლგის ლერწმის „ყამრიზეც“. ამ ხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივით ასტრახანის მახლობლად შენდება დიდი ცელულოზა-მუყაოს კომბინატი. საწარმოს პირველი რიგი ამუშავდა შარშან. დღითიდღე იზრდება აქ ლერწმის გადამუშავება ცელულოზად და მუყაოდ. მშენებლები კი ჩქარობენ, რომ დაამთავრონ კომბინატის მეორე რიგის მშენებლობა.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ ასტრახანის ცელულოზა-მუყაოს კომბინატს ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. მუშები, სპეციალისტები, მშენებლები გულითადად მიესალმნენ ძვირფას სტუმარს. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად აქ ჩამოვიდნენ პარტიის ასტრახანის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ანტონოვი, სოლანა აღმასკომის თავმჯდომარე ნ. კ. ბლოხინი, ქვემო ვოლგის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ი. ფ. სინიცინი.

ნ. ს. ხრუშჩოვი უურადღებით გაეცნო ახალ საწარმოს. ახსნა-განმარტებას იძლეოდა კომბინატის დირექტორი ა. მ. პრისტუპა. მან აღნიშნა, რომ ახალგაზრდა კოლექტივმა წარმატებით შეასრულა რვა თვის პროგრამა. მნიშვნელოვანი გადაჭრებით შეხვედრილა მუყაოს წარმოების, ცელულოზის ხარშვის, გოფრირებული ყუთების დამზადების დავალება. ამ დღეებში კომბინატის მშრომელები დგანან დიდი ოქტომბრის 46-ე წლისთავის აღსანიშნავ ვახტზე. მაგალითს მუშობაში აჩვენებენ კომუნისტები და კომკავშირელები.

ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა სპეციალისტებს, მუშებს, გაეცნო წარმოების ტექნოლოგიას. მას უამბეს ლერწმის დაქუცმაცების, მიღებული ნაკუწის დახარისხების საამქროს შესახებ, იმაზე, თუ როგორ ეუფლებიან ახალგაზრდა მუშები ახალ მოწყობილობას და ამაღლებენ კვალიფიკაციას. საწარმოში ძირითადად ახალგაზრდობა შრომობს. ქალიშვილები და ჭაბუკები ბეჯითად სწავლობენ, ეუფლებიან პროფესიებს.

ცელულოზის საამქროში სადაც ლერწმის ნაკუწი უწყვეტი მოქმედების აპარატებზე გადაიქცევა ცელულოზად, ამხანაგ ხრუშჩოვს უჩვენეს მძლავრი აგრეგატები, გააცნეს მას ამ წარმოების ოსტატები. საინტერესო საუბარი გაიმართა მუყაოს ფაბრიკის საფქვავ-მოსამზადებელ განყოფილებაში, ახალგაზრდა მუშებმა, — რუსებმა, უკრაინელებმა, ბელორუსებმა, ყაზახებმა, ყალმუხებმა ნიკიტა სერგის-ძეს გაუზიარეს თავიანთი აზრები, უამბეს თავიანთი ცხოვრება და საქმეები. მუყაოს საკეთებელი მანქანების დარბაზსა და გოფრირებული ტარის საამქროში ამხანაგმა ხრუშჩოვმა დაათვალიერა მზა პროდუქცია. მუშამ ამხ. კომაროვამ, მემანქანემ ამხ. მახმუდოვმა, მუყაოს საამქროს უფროსმა ამხ. მოროზოვმა და სხვებმა აცნობეს სტუმარს, რომ კომბინატის კოლექტივი ბეჯითად იბრძვის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის.

საწარმოს დათვალიერების შემდეგ ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა კომბინატის ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს. საუბარში მონაწილეობა მიიღეს საამქროთა უფროსებმა, ბეგრმა ოსტატმა, ბრიგადირმა, მოწინავე მუშამ.

ნიკიტა სერგის-ძემ დაწვრილებით გამოიკითხა, თუ როგორია პროდუქციის თვითღირებულება. კომბინატის დირექტორმა ამხ. პრისტუპამ აცნობა,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროში

გურჯაანისა და წყალტუბოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტების გამოცდილების შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიურომ მოისმინა გურჯაანისა და წყალტუბოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების პარტიული კომიტეტების მდივნების ამხანაგების გ. აზაურავილისა და ო. აბესაძის მოხსენებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის პარტიული კომიტეტების მუშაობის გამოცდილების შესახებ.

ბიურომ აღნიშნა, რომ ამ სამმართველოების პარტიული კომიტეტები მნიშვნელოვან ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ახორციელებენ, სოფლის კომუნისტებს, სოფლის მშრომელების მეცადინეობას წარმართავენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობათა სრული გამოყენებისათვის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის.

გურჯაანისა და წყალტუბოს საწარმოო სამმართველოების პარტიული კომიტეტები მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვაგვარ პირობებში, მაგრამ მათთვის საერთოა მისწრაფება უხელმძღვანელონ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს კონკრეტულად, მიზანდასახულად, ღრმად, საქმის ცოდნით ჩაწვდნენ მეურნეობის ეკონომიკას. პარტიული კომიტეტების მუშაობის საფუძველია ცოცხალი ორგანიზატორული საქმიანობა. კადრების უნარიანი შერჩევა და განაწილება, მათი სწავლება და აღზრდა, შესრულების შემოწმება, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობის მუშათა ფართო მასების ჩაბმა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ბრძოლაში.

სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდაქმნის შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებები განხორციელდა, შეამჩნევად გაუმჯობესდა პარტიული და სამეურნეო კადრების შემადგენლობა. გურჯაანსა და წყალტუბოში პარტიული კომიტეტების მუშაკების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების უმრავლესობას უმაღლესი განათლება, სოფლში მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვთ. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ძირითადად გამოცდილი, მომზადებული ადამიანები ხელმძღვანელობენ. წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 40 ხელმძღვანელიდან, 21 უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლება აქვს. დანარჩენებს — უმაღლესი და საშუალო განათლება, ამასთან სოფლის მეურნეობაში მუშაობის მრავალი წლის გამოცდილება. კარგადაა შერჩეული ბრიგადებისა და ფერმების ხელმძღვანელთა შემადგენლობა გურჯაანის საწარმოო სამმართველოში. სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა ყოველმხრივ მხარი დაუჭირა და გაავრცელა სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ სპეციალისტთა ჯგუფის პატრონატული თაოსნობა, რომლებმაც თავი დაანებეს საშტატო თანამდებობებს კოლმეურნეობების გამგეობაში და მუშაობა დაიწყეს ბრიგადრებად და ფერმის გამგეებად. ბრიგადრებად და ფერმის გამგეებად ნაყოფიერად მუშაობს 160-ზე მეტი სპეციალისტი, რომლებსაც უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლება აქვთ. წყალტუბოს სამმართველოს მეურნეობების საწარმოო ბრიგადებსა და ფერმებში გადავიდა 27 აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ვეტექიმი და აგროტექნიკოსი.

პარტიული კომიტეტები კონკრეტულად ერკვევიან ადგილებზე შექმნილ მდგომარეობაში, ზედმიწევნით იცნობენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, განსაკუთრებით ჩამორჩენილ მეურნეობათა ეკონომიკას, პრაქტიკულ დახმარებას უწევენ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად სახავენ ღონისძიებებს. მაგალითად, მუკუზნის საბჭოთა მეურნეობაში გურჯაანის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის ბიუროს გამსვლელი სხდომის გადაწყვეტილებათა შესრულება დაეხმარა ამ მეურნეობის კომუნისტებს დაეძლიათ ჩამორჩენილობა მეცვნეობაში.

გურჯაანის საწარმოო სამმართველოს ინსპექტორ-პარტორგანიზატორს ვ. კვეწერიძეს უნდა უმადლოდეს საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაცია, რომ მეურნეობა მტკიცედ დგება მოწინავეთა რიგებში. გასული წელი საბჭოთა მეურნეობამ 140 ათასი მანეთის ზარალით დაამთავრა, 1963 წლის ექვსი თვის მანძილზე კი 24 ათასი მანეთის მოგება მიიღო.

წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტი დაეხმარა ოფშკვითის კოლმეურნეობის კომუნისტებს გადაელახთ ჩამორჩენილობა საზოგადოებრივ მეცხოველეობაში. ფერმის საქმიანობა განხილული იყო კოლმეურნეობის კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელ ნრეში. წრის მსმენელებმა გამოავლინეს დიდი ნაკლოვანებანი საქონლის მოვლა-პატრონობის საქმეში. პარტიული კომიტეტის პარტორგანიზატორი დაეხმარა ფერმის მუშაკებს პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავებასა და მათ შესრულებაში. ფერმა ერთ-ერთი მოწინავე გახდა საწარმოო სამმართველოში. პირველი სექტემბრისათვის კოლმეურნეობამ გადაეჭარბებინათ შეასრულა პირუტყვის სულადობის ზრდის, სახელმწიფოსთვის რძისა და ხორცის მიყიდვის გეგმა. თვითეულ ძროხაზე უკვე მიღებულია 1.114 კილოგრამი რძე — 200 კილოგრამით მეტი, ვიდრე შარშან ამ დროს. საკუთარი საკვები ბაზის შექმნამ ხელი შეუწყო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. ერთი ცენტნერი რძე შარშანდელთან შედარებით 41 პროცენტით ნაკლები ჯდება, ერთი ცენტნერი ხორცი — 21 პროცენტით ნაკლები.

პარტიულმა კომიტეტებმა, რომლებმაც ღრმად და ყოველმხრივ გააანალიზეს გასული წლის შედეგები, მკაფიოდ დანახეს როგორც თავისი, ისე პირველადი პარტიული ორგანიზაციების ნაკლოვანებანი, გამოავლინეს წარმოების დიდი რეზერვები. შემდგომ მუშაობას საფუძვლად დაედო ამხანაგ ნ. ს ხრუშჩოვის რჩევა-მითითებანი, რომლებიც მან გამოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი გაგზავნილ ბარათში.

დიდად ეფექტიანი გამოდგა სათესი ფართობების სტრუქტურის სრულყოფა, მექანიზაციის დონის ამაღლება, წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და ნოვატორთა გამოცდილების დანერგვა. მცირემოსავლიანი კულტურების ხარჯზე გაფართოვდა სიმინდის, ბარდის, საკვები ჭარხლის, ლობიოს სათესი ფართობები. სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება საზოგადოებრივ სექტორში საკვებზე ფართობების გადიდების შესახებ.

გურჯაანის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დიდ ყურადღებას უმობენ მარცვლეულის წარმოების ზრდას. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა სამმართველოს მოწინავე მეურნეობებმა წელს უურძნის კარგი მოსავალი ჰოარეს.

აზრდება საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობა და პროდუქტიულობა. შარშანდელთან შედარებით 4,2 პროცენტით გაიზარდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა, მათ შორის 8 პროცენტით ძროხისა და ფურკამეჩის სულადობა. გაიზარდა პირუტყვის პროდუქტიულობაც. სახელმწიფოს მიეყიდა შარშანდელზე მეტი რძე, ხორცი, კვერცხი. დიდი რაოდენობით მომარაგებულია უნეში საკვები.

წარმატებით დაიწყეს მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელი წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს მეურნეობებმა. მათ ვადამდე აღრე და გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო თესვის გეგმა, რამაც ხელი შეუწყო კარგ მოსავალს.

გადაჭარბებით სრულდება სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის, ბოსტნეულის მიყიდვის თვიური და კვარტალური გეგმები.

მაგრამ ყველაზე მოწინავეები მაინც მეჩაიეები აღმოჩნდნენ. პლანტაციების საგულდაგულო მოვლის, ჩაის ფოთლის გადაეფარა ადგილი. ამ დროული კრეფის შედეგად საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ვალდებულება. მთელი მოკრეფილი ჩაის ფოთლის 76 პროცენტი პირველი ხარისხისაა, გეგმით კი 72 პროცენტი იყო გათვალისწინებული.

გაიზარდა კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი. პირველი სექტემბრისათვის მათ მიიღეს 9,6 მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალი, რაც 2,5 მილიონი მანეთით მეტია შარშან, ამავე პერიოდში მიღებულ შემოსავალზე.

წინათ წყალტუბოს რაიონში მანქანები იყენებდნენ მხოლოდ ნიადაგის, მოსამზადებლად და ნაწილობრივ თესვის დროს. ახლა წყალტუბოელები, დასავლეთ საქართველოს პირობებში აწარმოებენ მზრალად ხვნას, წარმატებით ნერგავენ კომპლექსურ მექანიზაციას სათიბი კულტურების დამუშავებისას, მექანიზირებულად ეწევიან მთელი რიგი შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციას მეცხოველეობის ფერმებში. პლანტაციებზე მუშაობს ჩაისკრეფი მანქანები „საქართველო“.

გაწეულია მუშაობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ადმინისტრაციულ-მმართველობის აპარატის მოწესრიგებისათვის. გურჯაანის სამმართველოს მეურნეობებში შემცირებულია 158 საშტატო ერთეული, რაც თვეში 6 ათას მანეთზე მეტ ეკონომიას იძლევა. წყალტუბოს სამმართველოს კოლმეურნეობებში ადმინისტრაციულ - მმართველობის აპარატის შემცირების შემდეგ წლიური ეკონომია 97 ათას შრომადღეს აღემატება.

მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში მასების ორგანიზატორები და ხელმძღვანელები პარტიული ორგანიზაციები არიან. ფართოდ არის გამოყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიცაა მუდმივადმოქმედი ლექტორიუმები, თემატური საღამოები, თეორიული და ეკონომიური კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები. დიდი მუშაობაა გაწეული მინდვრის მშრომელის ღირსების შესახებ — წარჩინებული კოლმეურნე ქალის ნადექდა გრიგოლის ასულ ზაგლადას წერილის შესასწავლად. ამ წერილმა გარკვეული ზემოქმედება მოახდინა შრომის დისციპლინის დამრღვევებზე, უქნარებზე. გურჯაანის საწარმოო სამმართველოს სოფელ ქალაურის კოლმეურნეობაში, სადაც შრომის დისციპლინა დაბალ დონეზე იყო, მ. გ. ზაგლადას წერილის განხილვის შემდეგ საზოგადოებრივ სამუშაოებზე შრომისუნარიან კოლმეურნეთა დიდმა უმრავლესობამ დაიწყო გამოსვლა. პარტიულმა კომიტეტებმა უხარიათად მოაწყვეს და ითავეს სოფლის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრება მაღალი მოსავლისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებსაც გასცდა. სოფელ ვარტისუბნის კოლმეურნეობა ეჯიბრება სომხეთის აშკარაკის რაიონის სოფელ ოშკანის კოლმეურნეობას. მეგობრობა და ურთიერთდახმარება აკავშირებს სოფელ ჩუმლაყის და კრასნოდარის მხარეს უსტ-ლაბინსკის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „ყუბანის“ კოლმეურნეებს. რუსი კოლმეურნეები სტუმრად იყვნენ ჩუმლაყელებთან, ამასწინათ კი კოლმეურნეობა „ყუბანს“ სოფელ ჩუმლაყის დელეგაცია ეწვია. მეგობრების გამოცდილებით გამდიდრებულები დაბრუნდნენ ქართველი კოლმეურნეები მშობლიურ სოფელში. პარტიულმა კომიტეტმა გადაწყვიტა ფართოდ გაავრცელოს უსტ-ლაბინსკელთა გამოცდილება გურჯაანის საწარმოო სამმართველოს ყველა მეურნეობაში.

ახალი ძალით გაიშალა ამ დღეებში სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში შემდგომი წარმატებებისათვის, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ ეძღვნება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობა ბიუროომ ამასთან აღნიშნა, რომ გურჯაანისა და წყალტუბოს საწარმოო სამმართველოების პარტიული კომიტეტების მუშაობაში ნაკლოვანებებიც არის. საკმაოდ გაშლილი არ აოის მუშაობა ჩამორჩენილი და ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების მუშაობის გამოსასწორებლად, ყველა საბჭოთა მეურნეობა რენტაბელური როდია. ზოგერთ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ მოიკოჭლეს შრომა-დისციპლინა. არიან კოლმეურნეები, რომლებიც მონაწილეობას არ ღებულებენ საზოგადოებრივ შრომაში. პარტიულმა კომიტეტებმა უნდა გააძლიერონ ბრძოლა ანტისაზოგადოებრივი ელემენტების, მოქთახარების, უქნარების, წამგლეჯების, სპეკულანტების წინააღმდეგ. ებრძოლონ იმათ, ვინც ცდილობს გააფართოოს პირადი მეურნეობა საზოგადოებრივი მეურნეობის საზიანოდ.

პარტიულმა კომიტეტებმა ყურადღება უნდა მიაქციონ კადრების შერჩევის, განლაგებისა და აღზრდისათვის საჭირო მუშაობის გაუმჯობესებას. ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა ადამიანებთან, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ყოველმხრივი აქტივიზაცია, კოლმეურნეთა ფართო მასების ჩაბმა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის აქტიურ ბრძოლაში — აი, რა უნდა დაედოს საფუძვლად პარტიული კომიტეტების მუშაობას. უნდა აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი სოფლის მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, მათი აქტივობა მოვახმაროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობას, სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას. (საქდესი).

გენერალური ასამბლეაზე

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. საკადისის სპეციალური კორესპონდენტი ს. ლოსევი იუწყება:

გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარ ბინაში მუშაობა დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეთვრამეტე სესიამ. სხდომა გახსნა გენერალური ასამბლეის წინა სესიის თავმჯდომარემ ჰაიფრი მ. ზაფრულა-ხანმა.

ვრცელ წინასწარ დღის წესრიგში დაახლოებით ოთხმოცი პუნქტია დაწყებული პროცედურული და რუტინული საკითხებით და დამთავრებული საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისა და კოლონიალიზმის აღმოფხვრის მეტად საარსებო პრობლემებით.

უურადღების ცენტრში, ისევე როგორც წინა სესიებზე, განიარაღების საკითხია. ახლანდელი სესიის დელეგატებმა უნდა განიხილონ 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მოხსენება, ატომური და თერმოატომური იარაღის გამოყენების აკრძალვის კონვენციის დადების კონფერენციის მოწვევის საკითხი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უ ტანის მოხსენება განიარაღების შედეგად განთავისუფლებული სახსრების მშვიდობიანი საჭიროებისათვის გამოყენების შესახებ.

ამ საკითხებს სესია განიხილავს იმ დამაძაბეველ ატმოსფეროში, რომელიც შეიქმნა ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის მოსკოვის ხელშეკრულების დადების შედეგად, ვითარებაში, რომელიც ხელს უწყობს შემდგომ კონკრეტულ ღონისძიებებს განიარაღების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობისა თანაარსებობის საიმედო საფუძვლის შექმნის დარგში.

მე-18 სესია განიხილავს სპეციალური კომიტეტის მოხსენებას, თუ როგორ ხორციელდება დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. ამ მოხსენებასთან ერთად სესია განიხილავს კოლონიალიზმის ნაშთების მოსპობის ისეთ კონკრეტულ პრობლემებს, როგორიც არის სამხრეთ როდეზიის საკითხი, აპარტეიდის პოლიტიკა, რომელსაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს, პროექტი დეკლარაციისა ყველა სახეობის რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ, იმის საკითხი, რომ ინგლისმა უარი თქვა შეწყვიტოს ომანელი ხალხის კოლონიური ჩაგვრა.

აფრიკისა და აზიის თოთხმეტი ქვეყნის დელეგაციათა წინადადებით წინასწარ დღის წესრიგში შეტანილია საკითხი სამხრეთ ვიეტნამში ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ.

შესავალი სიტყვის შემდეგ ზაფრულა-ხანმა განაცხადა, რომ რწმუნებათა შემოწმების კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ ალჟირის, ბელგიის, ეკვადორის, ირლანდიის, ლიბერიის, ნეპალის, პანამის, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები. სანამ სესია შეუდგებოდა ახალი თავმჯდომარის არჩევას, ინდონეზიის წარმომადგენელმა გააკეთა მოკლე რიგგარეშე განცხადება. მან აღნიშნა, რომ მალაიის დელეგატის ადგილი დაიკავა მალაიზიის ფედერაციის წარმომადგენელმა, ფედერაციისა, რომელიც სერიოზული მიზეზების გამო არ ცნო ინდონეზიამ, და განაცხადა პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ გენერალური ასამბლეა დაუყენეს ამ მოსმენილი ფაქტის წინაშე. ინდონეზიის დელეგატმა თავის დელეგაციისათვის დაიტოვა უფლება მოგვიანებით გაკეთოს განცხადება ახალი ფედერაციის შესახებ.

99 ხმით, 11 დელეგატმა თავი შეიკავა, გენერალური ასამბლეის მე-18 სესიის თავმჯდომარედ აირჩიეს ვენესუელის დელეგაციის მეთაური კარლოს სოსა-როდრიგესი.

სხდომა დამთავრდა იმით, რომ აირჩიეს გენერალური ასამბლეის ძირითადი მუდმივი კომიტეტების თავმჯდომარეები და სესიის თავმჯდომარის მოადგილეები. შემდეგი პლენარული სხდომა გაიმართება 19 სექტემბერს.

ა. ა. გრომიკო შეხვდა სოციალისტური ქვეყნების დელეგაციებს

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ საუზმე გამართა სოციალისტური ქვეყნების დელეგაციათა პატივსაცემად, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-18 სესიის მუშაობაში მონაწილეობისათვის.

საუზმეზე, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, იყვნენ სოციალისტური ქვეყნების დელეგაციათა მეთაურები: ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. დავიდი, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. პეტერი, რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კ. მენესკუ, ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ბაშევი, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ვინევიჩი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. დუგერსურენი.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ დელეგაციის წევრები ვ. ს. სემიონოვი, ნ. ტ. ფედორენკო, ს. ა. აზიმოვი, ა. მ. მენშიკოვი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი, უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. თ. პალამარჩუკი და ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი კ. ვ. კისელიოვი.

იმავე დღეს ა. ა. გრომიკოს შეგობრული საუბარი ჰქონდა ალჟირელიელების სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურთან ბენეტალური ასამბლეის სესიაზე ვ. პოპოვიჩთან.

„ჩრდილოეთი უაზომო ზონად უნდა დარჩეს“

ოსლო, 18 სექტემბერი. (საკდესი). ნორვეგიის საზოგადოებრივობის სულ უფრო ფართო წრეები გმობენ ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიკბორგის პოზიციას, რომელმაც ხელი შეუშალა ჩრდილოეთ ევროპაში უატომო ზონის შექმნის საკითხის განხილვას ჩრდილოეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სტოკჰოლმის ამასწინანდელ თათბირზე. „ომის საწინააღმდეგო სახალხო მოძრაობამ“, შემდეგ კი ორგანიზაცია „ატომური იარაღის საწინააღმდეგო კამპანიამ“ გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც მხარს უჭერენ ფინეთის პრეზიდენტის კეკონენის წინადადებას ჩრდილოეთ ევროპაში უატომო ზონის შექმნის შესახებ, „ჩვენ გაგვაკვირვა და იმედი გაგვიცრუა ნორვეგიის პოზიციამ, — ნათქვამია განცხადებაში. — მხოლოდ იმის კონსტატაცია, რომ ჩრდილოეთი ფაქტიურად უატომო ზონაა, არ კმარა. მთავარია, რომ ჩრდილოეთი უატომო ზონად დარჩეს და ეს უნდა აღინიშნოს დოკუმენტში“. განცხადებაში ნათქვამია, რომ უატომო ჩრდილოეთი შეესაბამება მოსკოვის ხელშეკრულების სულისკვეთებას, რომელსაც უკვე შეუერთდა ნორვეგია.

სხვადასხვა მერიდიანზე

□ ბუქარესტში დამთავრდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა შინაურ ცხოველთა ბიოლოგიის საკითხებს. ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სპეციალისტებმა განიხილეს მეცნიერული კვლევის შედეგები შინაურ ცხოველთა ბიოლოგიის, ფიზიოლოგიისა და პათოლოგიისა და ხელოვნური განაყოფიერების დარგში.

□ ნიტროშენაერთების ქიმიის პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიხსნა ვარშავაში. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობს 20 ქვეყნის, მათ შორის სსრ კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ბრაზილიის, იაპონიის 200-ზე მეტი სპეციალისტი. ისინი ერთმანეთს გაუზიარებენ ინფორმაციას ახალი კვლევის შესახებ ნიტროშენაერთების ქიმიის დარგში.

□ ამოქმედდა ტელეფონისა და ტელეგრაფის პირდაპირი კავშირი ალჟირსა და ტუნისს შორის. ფრანგ კოლონიზატორთა მეცადინეობის წყალობით ორი მეზობელი ქვეყანა თავისი ტელეგრაფისა და ტელეფონის კავშირით შვიდი წლის განმავლობაში ერთმანეთისაგან უფრო იყო დაშორებული, ვიდრე პარიზის ან რომისაგან: ტუნისიდან დარეკვა ან დეპეშის მიცემა ალჟირში შესაძლებელი იყო მხოლოდ საფრანგეთის ან იტალიის საშუალებით. 15 ოქტომბერს ალჟირსა და ტუნისს შორის განახლდება პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა.

□ გუშინ ვაშინგტონში თეთრი სახლის ინიციატივით გაიხსნა ამერიკის ექსპორტის გაფართოების საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობს ამერიკის წამყვანი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო კომპანიების, აგრეთვე უდიდესი საექსპორტო-სამპბორტო ფირმების 400 ხელმძღვანელი. კონფერენციის მიზანი ის არის, რომ შეიმუშაოს რეკომენდაციები ამერიკის ექსპორტის გაფართოებისათვის. კონფერენცია გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კენედის გამოსვლით.

„ულტრები“ არ ცხრებიან

ვაშინგტონი, 18 სექტემბერი. (საკდესი). ვაშინგტონელი „ულტრები“ კვლავ ცდილობენ სახალხო კუბის ბლოკირებას.

ამას მოწმობს წინადადება, რომელიც გუშინ შეიტანა კონგრესში წარმომადგენელთა პალატის წევრმა პეპერმა (დემოკრატი, ფლორიდის შტატი). წინადადება გულისხმობს, რომ უცხოეთის ყოველ გემს, რომელიც ოდესმე თუ წვეთია კუბის ნავსადგურს, ეკრძალება ამერიკის შეერთებული შტატების რომელიც უნდა იყოს ნავსადგურში შესვლა. პეპერის წინადადების თანახმად, გემის კაპიტანს, რომელიც შევა ამერიკის შეერთებული შტატების რომელიმე ნავსადგურში კუბაში შესვლის შემდეგ, დაჯარიმებენ 100 ათასი დოლარით და მიუსჯიან ერთი წლის პატიმრობას.

პარიზში დამთავრდა ეკონომიკური ბოიკოტის მოლაპარაკება

პარიზი, 18 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს აქ დამთავრდა საფრანგეთისა და ბონის საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკება.

დასავლეთ გერმანიის დელეგაციის ოფიციალური წარმომადგენლის ცნობით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა შრედერმა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კუვ დე მიურვილმა განიხილეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობა, ნატოს ქვეყნებსა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს შორის ოადგილუსნმელობის პაქტის დადების საკითხი და ის პრობლემა, რომ შეიქმნას მუდმივი საკონტროლო საგუშაგოები, რის მიზანია უეცარი თავდასხმის თავიდან აცილება.

დასავლეთგერმანელი წარმომადგენლის განცხადებით, შრედერი „დინამიკური პოლიტიკის“ განხორციელების მომხრეა. შრედერმა და კუვ დე მიურვილმა განაცხადეს, რომ დასავლეთ ბერლინში არსებული მდგომარეობა „დამკმაყოფილებელი არ არის“.

მოლაპარაკებაზე განიხილეს ეკონომიკის და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის საკითხები საერთო ბაზრისა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან მისი ურთიერთობის თვალსაზრისით.

„ჩრდილოეთ ევროპა ატომური იარაღის გარეშე“

ჰელსინკი, 18 სექტემბერი. (საკდესი). ფინეთის ელჩ-ელჩი ოლავი ენგლუნდი ეწვია ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ტაინოს ალანენს. ენგლუნდმა ალანენს ჩააბარა ფინეთის ელჩ-ელჩად ინიშნვის ბრძანებულება.

ალანენმა ენგლუნდს ინტერვიუ მისცა. ალანენმა ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნა, ფინეთი ეწინააღმდეგება ბალტიკისპირეთის ქვეყნებისა და ჩრდილოეთ ევროპის ატომური იარაღის ბაზად ქცევას. ალანენმა ინტერვიუში ასევე ხაზგასმით აღნიშნა, ფინეთი ეწინააღმდეგება ბალტიკისპირეთის ქვეყნებისა და ჩრდილოეთ ევროპის ატომური იარაღის ბაზად ქცევას. ალანენმა ინტერვიუში ასევე ხაზგასმით აღნიშნა, ფინეთი ეწინააღმდეგება ბალტიკისპირეთის ქვეყნებისა და ჩრდილოეთ ევროპის ატომური იარაღის ბაზად ქცევას.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ საპენსიო წოდებების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სწავლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მივენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლისა:

1. **ავალიანს** ალექსანდრე დავითის-ძეს — თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
2. **ბოჭორიშვილს** შალვა ვლადიმერის-ძეს — ახალციხის რაიონის სოფელ ლელოვანის რვაწლიანი სკოლის დირექტორს.
3. **გაბიანს** ელენე მელიტონის ასულს — ლეტხეხის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
4. **გაბიტაშვილს** გიორგი ზაქარიას-ძეს — თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
5. **გაბუნიას** დავით ვასილის-ძეს — თბილისს სტენოგრაფიისა და მანქანაზე ბეჭდვის სკოლის მასწავლებელს.
6. **გამცემლიძეს** ნინო ალექსანდრეს ასულს — პენსიონერს.
7. **გაწერელიას** მიხეილ პავლეს-ძეს — პენსიონერს.
8. **გვარმიანს** ვენერა სამსონის ასულს — მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
9. **გედევანიშვილს** ალექსანდრე არკადის-ძეს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის სოფელ კეხვის საშუალო სკოლის დირექტორს.
10. **გედევანიშვილს** ქეთევან ნიკოლოზის ასულს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თბილისის ფეხსაცმელების საწარმოების გაერთიანება „ისანის“ სამკერვალო ბაღის გამგეს.
11. **გიგინეიშვილს** გიორგი მიხეილის-ძეს — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
12. **გობეჩიას** ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძეს — ცხაკაიას რაიონის დაბა ჩხოროწყუს საშუალო სკოლის მასწავლებელს.
13. **გოგსაძეს** შალვა სპირიდონის-ძეს — თიანეთის რაიონის სოფელ ყებოტის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.
14. **გოგიაშვილს** ვერა ბესარიონის ასულს — პენსიონერს.
15. **გურგენიძეს** შალვა თადეოზის-ძეს — პენსიონერს.
16. **დვალს** გრიგოლ იოსების-ძეს — პენსიონერს.
17. **დოლიძეს** გაბრიელ სერაფიონის-ძეს — მახარაძის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.
18. **ვაჩეიშვილს** თამარ ვასილის ასულს — პენსიონერს.
19. **ვეფხვაძეს** პავლე ერმალოზის-ძეს — თბილისის მუშა-ახალგაზრდობის მე-9 საშუალო სკოლის დირექტორს.
20. **თოხაძეს** ტასო ერმილეს ასულს — პენსიონერს.
21. **თუშურაშვილს** ვლადიმერ იოსების-ძეს — ქ. რუსთავის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
22. **ილდანს** ვარდო ანტონის ასულს — მესტიის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
23. **ილურიძეს** გიორგი დავითის-ძეს — თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის მასწავლებელს.
24. **იმერლიშვილს** თამარ ზაქარიას ასულს — თბილისის ყრუ-მუნჯ ბავშვთა სკოლის მასწავლებელს.
25. **იმნაძეს** მიხეილ ნიკოლოზის-ძეს — თბილისის ბავშვთა ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის დირექტორს.
26. **კაპანაძეს** იერემია საჩინოს-ძეს — ზესტაფონის რაიონის სოფელ ბოსლევის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
27. **კაპანაძეს** კალისტრატე არქიფოსძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის შორაპნის № 8 საშუალო სკოლის დირექტორს.
28. **კარანაძეს** პროკოფი თომას-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის ქუთაისის № 17 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
29. **კანნიაშვილს** ვასილ გიორგის-ძეს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის სოფელ კეხვის საშუალო სკოლის დირექტ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ჩვენი კულტურის მეგობარი

„ვეფხისტყაოსნის“ იაპონელი მთარგმნელი თბილისში

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ენაზე ითარგმნა შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“. ამ დიდებულმა ნაწარმოებმა ბევრი მეგობარი შესძინა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს.

ამ რამდენიმე წლის წინათ „ვეფხისტყაოსანი“ იაპონურ ენაზე თარგმნა **იპეი ფუკურომ.**

ორი დღეა იპეი ფუკურო მეუღლითურთ ჩვენი დედაქალაქის სტუმარია. იაპონელი მწერალი და მთარგმნელი საქართველოში ჩამოვიდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მოწვევით.

იპეი ფუკუროს სასტუმრო „ინტურისტში“ შევხვდით და ვესაუბრეთ.

— როდის გაეცანით საბჭოთა და კერძოდ, ქართულ კულტურას?

—ახალგაზრდობაში და შემდგომ წლებშიც გატაცებული ვიყავი სპორტით. განსაკუთრებით მიყვარდა ალპინიზმი. (ფუკუროო არის იაპონიაში ტურიზმისა და ალპინიზმის საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი). ერთხელ, ამ ორმოცდაოდ წლის წინათ, ხელში ჩამოვარდა წიგნი იხვლისელი ალპინისტისა, რომელსაც უმოგზაურია კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, და აწერილი ჰქონდა ამ მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებები. იგი, თუ არ ვცდები, ბეჭოს გადასასვლელით გადმოსულიყო მესტიაში. ინგლისელი ალპინისტის სახელი, სამწუხაროდ, არ მახსოვს, საოცრად ლამაზად ხატავდა საქართველოს ამ მშვენიერ კუთხეს, მის ზვიად მთებსა და მწვერვალებს. მას შემდეგ ხშირად ვოცნებობდი კავკასიის მთებზე, ვოცნებობდი მენახა თქვენი მხარე.

ამავე ხანებში მე, როგორც კინოკრიტიკოსი, დიდი გატაცებით ვმუშაობდი კინოხელოვნებაში, ვაკეთებდი იაპონურ ენაზე საბჭოთა ფილმების მიმოხილვებს, ჩვენს საზოგადოებას ვაცნობდი ახალ საბჭოთა კინოსურათებს. იმ მიზნით, რომ უფრო ახლო გავცნობოდი საბჭოთა კინოხელოვნებას, 30-იან წლებში საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მოწვევით პირველად ჩამოვედი საბჭოთა კავშირში. მაშინ მოსკოვში გავიცანი კინორეჟისორები ეიზენშტეინი და პუდოვკინი, რომლებმაც მაჩვენეს თავიანთი ახალი ფილმები. აქ ვნახე აგრეთვე ქართული ფილმები „ელისო“ და სხვ.

აი ამ ფილმებითაც გავიცანი საქართველო. მოსკოვში ბევრი რამ კარგი მიამბეს თქვენს ნიჭიერ რეჟისორზე ნიკოლოზ შენგელაიაზე, ნატო ვაჩნაძეზე, მაგრამ მაშინ შესაძლებლობა არ მომეცა ჩამოვსულიყავი საქართველოში. თქვენი თანამედროვე კინორეჟისორებიდან ვიცნობ კ. პიპინაშვილს, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ იყო ჩვენთან იაპონიაში.

შემდგომ წლებში ხელი მოვკიდე რუსული ლიტერატურის თარგმნას იაპონურ ენაზე. ნათარგმნი მაქვს ნ. ტიხონოვის ლექსები, ილ. ლეონოვის ნაწარმოებები, ვახტა ვასილევსკაიას „ცისარტყელა“, ახლახან დავამთავრე ვ. კატაევის „თეთრდა ფრიალებს აფრა ეულის“ თარგმნა. ამ წიგნებს სცემს ჩვენი ყველაზე დიდი გამომცემლობა — „კოდან-სიაო“. „კოდან-სიაო“ რამდენიმე წლის წინათ შეუდგა მსოფლიო ლიტერატურის გამოცემას, რომელიც 50 ტომისაგან შედგება. მე როგორც ერთ-ერთ რედაქტორს დავალებული მქონდა იმ ხუთი ტომის რედაქტორობა, რომლებიც დათმობილი აქვს საბჭოთა ლიტერატურას. ამ ხუთტომეულში შევიდა ჩემი, აგრეთვე სხვა იაპონელი მოღვაწეების თარგმანებიც. „კოდან-სიაომ“ უკვე დაამთავრა 50-ტომეულის გამოცემა.

— ბატონო ფუკურო, თქვენ როდის დაინტერესდით შოთა რუსთაველით, როდის დაიწყეთ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა?

— ადრე, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის წიგნის გაცნობისას, ჩემი ყურადღება მიიპყრო შოთა რუსთაველის სახელმა, მისმა გენიალურმა პოემამ. მინდოდა ამ წიგნის შოვნა და წაკითხვა. ამ ხანად საელჩოში ვმუშაობდი. ახლო ურთიერთობა მქონდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებთან, რომლებიც იაპონიაში იმყოფებოდნენ. ჩვენ რუს კოლეგებს ვთხოვეთ ეშოვნათ ჩემთვის „ვეფხისტყაოსანი“, თხოვნა შემისრულეს და მალე წიგნი ხელთ მქონდა.

დაიწყე კითხვა. დიდად გამიტაცა იმ სიბრძნემ, რითაც ასე სავსეა შოთა რუსთაველის პოემა. აღმძრა სურვილი მეთარგმნა ეს წიგნი იაპონურ ენაზე, ჩვენი მკითხველებისთვისაც გამეცნო ეს დიდი ნაწარმოები. ხუთ წელს ვმუშაობდი „ვეფხისტყაოსანსა“ თარგმნაზე. წიგნის დამთავრების შემდეგ არ მინდოდა, რომ იგი რომელიმე პატარა გამომცემლობას გამოეცა და ვუცდიდი „კოდან-სიაოს“. 1955 წელს ამ გამომცემლობამ იაპონურ ენაზე პირველად გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ 70.000 ცალი ტირაჟით.

უნდა მოგახსენოთ, რომ წიგნი ძალიან სწრაფად გაიყიდა, ისე სწრაფად, რომ მე უკვე ერთი ეგზემპლარის მეტი აღარ გამაჩნია. რამდენიმე ხნის წინათ ერთი ცალი საქართველოს საზოგადოებს, კერძოდ ამ საზოგადოების მუშაკს, ჩემს ქართველ მეგობარს ნოდარ კოჟლაშვილსაც გამოვუგზავნე. მალე საქართველოს მარჯვის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკიდანაც მივიღე თხოვნა, რომ გამომეგზავნა „ვეფხისტყაოსანი“ ჩემი თარგმანი. მომიხდა ძალიან ბევრი სიარული, წიგნის მაღაზიებში ძებნა. როგორც იყო ერთ შორეულ სოფლის მაღაზიაში მივაგენი „ვეფხისტყაოსანს“ და თბილისში გამოვგზავნე. ახლა გამომცემლობა „კოდან-სიაოს“ განზრახული აქვს კვლავ გამოუშვას „ვეფხისტყაოსანი“ ახალი გამოცემა.

როგორც მოგახსენეთ, „კოდან-სიაომ“ დაამთავრა მსოფლიო ლიტერატურის ორმოცდაათტომეულის გამოშვება. ამჟამად გამომცემლობამ დაიწყო ამავე ლიტერატურის ოცდაათტომეულის გამოშვება, სადაც ოთხი ტომი დაეთმობა საბჭოთა ლიტერატურას. ამ ოთხტომეულის რედაქტორად კვლავ მე მიმიწვიეს. ჩემი დიდი სურვილია ამ ტომებში შევიტანო ნთ ქართველ მწერალთა ნაწარმოებები, ქართული ლიტერატურის მიმოხილვა.

მინდა მოგახსენოთ, რომ თქვენი მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოება დიდ დახმარებას მიწევს ქართული ლიტერატურის გაცნობის საქმეში. მიგზავნიან ჟურნალ-გაზეთებს.

— აღსანიშნავია, რომ ფუკურო საბჭოთა პრესის მიმოხილვას სისტემატურად ბეჭდავს იაპონიის ერთ-ერთ დიდ გაზეთში „ასახში“, რომელიც 8 მილიონი ტირაჟით გამოდის, — გვითხრა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ჟღენტმა, — ამით იგი დიდ პროპაგანდას უწევს ჩვენს კულტურას იაპონიაში. სწორედ ამიტომ მოვიწვიეთ იგი საქართველოში. აქ ფუკურო უფრო ახლოს გაეცნობა საბჭოთა საქართველოს, შეხვდება ქართველ მწერლებს, მეცნიერებს, იმოგზაურებს საქართველოში.

ლ. ხუბულური.

• • •

სურათზე: *იპეი ფუკურო და მისი მეუღლე პანაკო ფუკურო სასტუმრო „ინტურისტის“ აივანზე.*

ფოტო ვ. გინზბურგისა.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

აქ მკურნალობენ გულს, ფილვვებს

ამ მას წინათ თბილისის ქალაქის პირველ საავადმყოფოში გაიხსნა ახალი ქირურგიული განყოფილება. იგი მომსახურებას უწევს მხოლოდ გულითა და ფილტვებით დაავადებულებს. განყოფილებას აქვს კარგად მოწყობილი 50-ადგილიანი 11 საწოლი პალატა. აქვე არის ორი საოპერაციო და ერთი შესახვევი ოთახი, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო აპარატურით.

საავადმყოფოს ამ განყოფილებას ხელმძღვანელობს გამოჩენილი ქირურგი ლენინური პრემიის ლაურეატი პროფ. ნ. ანთელავა. აქ მუშაობენ აგრეთვე ექიმები ო. ჭკანია, ნ. ლომმათიძე, თ. თოთაძე, ვ. ფიფია და სხვ.

გ. ანდრიაძე.

ახალი ჯიშის ლიმონი

ახალი ჯიშის ლიმონი გამოიყვანეს სრულიად საკავშირო ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. მას დაარქვეს „ანასეული-1“. ლიმონი დიდია — მისი წონა 170-180 გრამს აღწევს, მაშინ როცა ჩვეულებრივი ლიმონი საშუალოდ 70 გრამს იწონის. დეგუსტაციის დროს ამ ჯიშმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

წვნიან ნაყოფში სულ 2-3 თესლია, მაშინ როცა სხვა ჯიშის ნაყოფს 10-15 თესლი აქვს. ლიმონის კანში დიდი რაოდენობით არის ეთერზეთოვანი ჯირკვლები, ამიტომ ლიმონი ძალიან არომატულია და არა აქვს სიმწარე. ლიმონს კანი ადვილად სძვრება, თითქმის ისევე, როგორც მანდარინს.

„ანასეული-1“ ჯიშის ლიმონის მეტად დიდი სამეურნეო თვისებაა მისი აღრეულობა. ნაყოფი მწიფდება „ქართული“, „ვილა-ფრანკას“, „ევრიკას“, „ლისაბონისა“ და სხვა ჯიშის ლიმონზე 15-20 დღითადრე. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჩვეულებრივად ლიმონს კრეფენ არასრული ბიოლოგიური სიმწიფის სტადიაში, არამედ კანის შეყვითლების დასაწყისში, ამ სტადიაში „ანასეული-1“ შედის 30-35 დღით ადრე სხვა ჯიშის ლიმონთან შედარებით.

ამჟამად სრულიად საკავშირო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ექსპერიმენტულ ბაზაში ცდილან ახალი ჯიშის ლიმონის ყინვამედეგობასა და გამძლეობას.

ა. ლ. გუნია — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო მუშაობის დარგში ავთანდილ ლევანის-ძე გუნიამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„სამუშაო ძალის კვლავწარმოება საქართველოს სსრ მრეწველობაში“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ავთანდილ ლევანის-ძე გუნიასათვის ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

გაქტერიოფაგების ფემქმნელნი

პატარა ბავშვები განსაკუთრებით ხშირად ავადდებიან კუჭ-ნაწლავების ავადმყოფობით. ყველაზე მეტად გავრცელებულია კოლი-ენთერიტები. ავადმყოფობის გამომწვევი არიან ნაწლავების პათოგენური ჩხირები. კოლი-ენთერიტები ბევრი რამით ჰგვანან ნაწლავების სხვა დაავადებებს. მათი მიმდინარეობა ხანგრძლივი და მძიმეა და ტოქსიკოზის მოვლენებით ხასიათდება.

ამ ავადმყოფობასთან ბრძოლის ეფექტური საშუალებანი საკმარისი არ არის. ანტიბიოტიკები —კოლიმიკსინი, მიცერინი და სხვები — საჭირო შედეგს ვერ იძლევიან და თანაც ხშირად გართულებებს იწვევენ. ერთ-ერთი ასეთი გართულებაა დიზბაქტერიოზი — ნაწლავების ნორმალური მიკროფლორის შემადგენლობის შეცვლა. იგი იწვევს პროტეუმის სწრაფ განვითარებას, რომელიც ანტიბიოტიკებისადმი მგრძნობიარე არ არის. ამ მიკრობთან ბრძოლველად ყველაზე ეფექტური შეიძლება იყოს ბაქტერიოფაგი. სწორედ ამიტომ ესოდენ მწვავედ დადგა საკითხი ისეთი ბაქტერიოფაგის დამზადებისა, რომელიც ერთბაშად მოსპობდა ნაწლავების პათოგენურ ჩხირებსა და პროტეუმს.

გორკის ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა მეცნიერებათა კანდიდატებმა სოფიო სემიჩევამ და სოფიო პოგორელსკაიამ 1956 წელს ექსპერიმენტით მიიღეს პრეპარატი — კოლიპროტეინის ფაგი. ინსტიტუტმა ხელი მოჰკიდა მისი სამრეწველო წარმოების ათვისებას. პრეპარატის გამოშვების მიხედვით წარმოდგა მისი სამკურნალო მოქმედების შესწავლა ქალაქ გორკისა და გორკის ოლქის ბავშვთა კლინიკებში. მიღებული პოზიტიებისა და სპეციალური შეფასებების საფუძველზე წელს დამტკიცებულ იქნა კოლიპროტეინის ფაგის დამზადებისა და გამოყენების ინსტრუქცია. ახლა საწარმოო საამქრო შეუდგა მის მასობრივ გამოშვებას. აგვისტოში სამკურნალო დაწესებულებებს დაეგზავნა ამ საშუალების პირველი სერია.

ახალი ბაქტერიოფაგი გამოიყოფა გარეშე გარემოდან (მდინარის და ჩამდინარი წყლიდან) და თვით ავადმყოფთა ორგანიზმიდან. ლაბორატორიაში მის აქტივობას ზრდიან და ამრავლებენ მასაზრდოებელ არეში, სადაც შესაბამისი ბაქტერიებია (ნაწლავების ჩხირები, პროტეუმი).

ამ გზით მიღებულ მასას რეაქტორში არეევენ, ფილტრებში გაატარებენ და დოზებად დაპაყოფენ. მზა პრეპარატს ამოწმებენ აქტივობის, სტერილურობისა და უვნებლობის მხრივ. დოზირება ხდება ას-ას მილილიტრად თხევადი სახით.

კოლიპროტეინის ფაგი ძალიან ეფექტურია. ინსტიტუტს მოსდის ბევრი წერილი, რომლებიც შეიცავენ მისი თვისებების დადებით შეფასებას.

მაგრამ მეცნიერული აზრი მიღწეულს არ სჯერდება, განუწყვეტლივ მიდის წინ. ახლა უკვე დასახულია ახალი ამოცანა— თხევადი პრეპარატი ხმელთან შეიცავოს. მართლაც, თხევად პრეპარატს არასასიამოვნო გემო აქვს, ბავშვები უარს ამბობენ მის მიღებაზე. იგი უხერხულია ტრანსპორტირებისას — მინის ფლაკონები ადვილად ტყდება.

და აი ინსტიტუტის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს გაახმონ ბაქტერიოფაგი. ერთი ფლაკონის ნაცვლად გამოვიდა პატარა ტაბლეტი, რომელიც 20-30 კუბი კოლიპროტეინის ფაგის მაგიერობას ეწევა.

დამზადებულია ხმელი ფაგის ექსპერიმენტული სერია. თავისი აქტივობით იგი თხევადს არ ჩამოუვარდება.

გორკის ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ინსტიტუტთან არსებული ბაქტერიოფაგთა საამქრო წელიწადში უშვებს ათეულ ათასობით ლიტრ სხვადასხვა ფაგს — დიზენტერიის, მუცლის ტიფის, კოლიპროტეინის ფაგებს. მალე ყველა ამ ფაგს ტაბლეტებად გამოუშვებენ.

ბერლინი, მსოფლიო პირველობაგე

ბერლინი (შვეიცარია) 22-26 სექტემბერს უნდა ჩატარდეს მსოფლიოს 1963 წლის ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. მასში სხვა გუნდებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ჩვენი ქვეყნის ნაკრებიც, რომლის შემადგენლობაში შედიან მსოფლიოს ოთხზის ჩემპიონი ი. ნოვიკოვი (სომხეთი), ვ. მინაევი (აზერბაიჯანი), ა. მიკეევი (მოსკოვი) და ვ. პიჩუკინი (უკრაინა).

მსოფლიოს ყველა უკანასკნელ ჩემპიონატებში თანამედროვე ხუთჭიდში საბჭოთა სპორტსმენები დიდი წარმატებით პაექრობდნენ. ისინი ახლაც პირველი ადგილის ძირითად პრეტენდენტებად ითვლებიან.

ᲛᲔᲖᲕᲔᲓᲠᲐ „ᲮᲣᲗᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ“

21 და 22 სექტემბერს მოსკოვში, ბუდაპეშტსა და ტატაბანიაში გაიმართება საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ოთხი ეროვნული ნაკრების მატჩები. მოსკოვში 21 სექტემბერს ერთმანეთს შეხვდებიან ჭაბუკთა ნაკრებები, ხოლო იმავე დღეს ტატაბანიაში ერთმანეთს შეეკრებიან ახალგაზრდული ნაკრები გუნდები. მაგრამ ძირითად ინტერესს მაინც 22 სექტემბრის შეხვედრები იწვევს. ამ დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრები ხვდება თავის ძველ მეტოქეს— უნგრეთის ნაკრებს, ხოლო ბუდაპეშტის „ნეპ.-სტადიონზე“ ითამაშებენ ოლიმპიური ნაკრებები.

უკვე კარგა ხანია გუნდები ემზადებიან „ოთხ ფრონტზე“ შეხვედრისათვის. ჩვენი ქვეყნის პირველი ნაკრების ხელმძღვანელია სპორტის დამსახურებული ოსტატი ან. სტაროსტინი, მთავარი მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. ბესკოვი, მწვრთნელები — სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ტროფიმოვი და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. გულიაევი.

ჩვენი ქვეყნის ნაკრები წვრთნას გადის ასეთი შემადგენლობით: მეკარეები — ლ. იაშინი (მოსკოვის „დინამო“), ი. ბაუკა (ცსკა), დაცვა — ე. დუბინსკი, ა. შესტერნევი (ორივე ცსკა-დან), ვ. შუსტიკოვი (მოსკოვის „ტორპედო“), ა. კრუტკოვი (მოსკოვის „სპარტაკი“), ლ. ოსტროვსკი (კიევის „დინამო“), ნახევარდაცვა — ვ. ვორონინი (მოსკოვის „ტორპედო“), გ. ლოგოფეტი (მოსკოვის „სპარტაკი“), ვ. კოროლენკოვი (მოსკოვის „დინამო“), თავდასხმა — ს. მეტრეველი (თბილისის „დინამო“), ვ. ივანოვი (მოსკოვის „ტორპედო“), გ. გუსაროვი (მოსკოვის „დინამო“), მ. მესხი (თბილისის „დინამო“), ვ. პონედელნიკი (როსტოვის სკა), ე. მალაფეევი (მინსკის „დინამო“) და გ. ჰუსაინოვი (მოსკოვის „სპარტაკი“).

როგორც ამ დღეებში ბუდაპეშტში პრეს-კონფერენციაზე გამოცხადდა, უნგრეთის პირველ ნაკრებში მოსკოვის მატჩში სხვადასხვა მიზეზით არ ითამაშებს დაცვითი ხაზის სამი წამყვანი მოთამაშე: მარკვენა მცველი მატრაი, ცენტრალური მცველი შიპოში და ნახევარმცველი შოიმოში. ნაკრები წვრთნას გადის ასეთი შემადგენლობით: მეკარეები — [illegible] ტეხი, ფუზვეში, ბ[illegible]ნოში, ოსკოში.

საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების ხელმძღვანელია სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. მოშკარკინი, მთავარი მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ვ. სოლოვიოვი, მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ე. ლიადინი.

მატჩისათვის ემზადებიან მეკარეები— რ. ურუშაძე (ჭუთაისის „ტორპედო“), ვ. ბანიკოვი (კიევის „დინამო“), მცველები ვ. პონომარიოვი, ვ. სემიგლაზოვი, ვ. დოროდნიი (სამივე ცსკა-დან), მ. ხუსროცილავა (თბილისის „დინამო“), ვ. დანილოვი („ზენიტი“), ე. მუდრიკი (მოსკოვის „დინამო“), ნახევარდაცვა —ვ. მასლოვი (მოსკოვის „დინამო“), ს. ზავიდონოვი („ზენიტი“), ა. ბიბა (კიევის „დინამო“), თავდასხმა — ო. ბაზილევიჩი, ვ. სერებრიანკოვი, ვ. ლობანოვსკი (ყველა კიევის „დინამოდან“), ბ. კაზაკოვი (კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“), გ. მატვეევი (როსტოვის სკა) და ვ. ფადეევი (მოსკოვის „დინამო“).

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ

ქალთა მეორე საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადა დაიწყება იუგოსლავიის ქ. სპლიტში 21 სექტემბერს. მასში მონაწილეობას მიიღებს 15 გუნდი, რომლებიც, როგორც ცნობილია, ორი ძირითადი და ერთი სათადარიგო მონაწილეა. შეჯიბრება ტარდება ორ ეტაპად: ნახევარფინალებად და ფინალად. მსოფლიო ჩემპიონის, საბჭოთა კავშირის ნაკრების ძირითად მეტოქეებად, იუგოსლავიის გუნდის გარდა, მიიჩნიათ რუმინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდები.

ამჟამად კოლექტივები თავს იყრიან ქ. სპლიტში. საბჭოთა კავშირის გუნდი წინა ოლიმპიადასთან შედარებით საგრძნობლად შეიცვალა. თუ ადრე მის შემადგენლობაში შედიოდნენ მსოფლიოს ექსჩემპიონი ო. რუბცოვა და მსოფლიო ჩემპიონობის მაშინდელი პრეტენდენტი ქ. ზვორიკინა, ახლა მათ ადგილი დაუთმეს მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილსა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონტატიანა ზატულოვსკაიას. მართალია, ჩვენი ნაკრების „ძველ შემადგენლობასაც“ გამოუჩნდა თავისი საქმე სპლიტში: ამჟამად ქ. ზვორიკინა გუნდის სათადარიგო მონაწილეა, ხოლო ო. რუბცოვა კი დაინიშნა შეჯიბრების მთავარ მსაჯად.

ᲜᲐᲗᲐᲛᲐᲨᲕᲘᲐ ᲐᲗᲘ ᲢᲣᲠᲘ

ხარკოვში გრძელდება საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის გათამაშება. როგორც უკვე ვიუწყებდით, ოთხი გამარჯვებული უფლებას მიიღებს ითამაშოს ფინალში.

ახლა შეჯიბრებას ლიდერობს გროსმაისტერი ბ. სპასკი (ლენინგრადი). რამდენადმე გამოასწორა მდგომარეობა საქართველოს ჩემპიონმა ოსტატმა ბ. გურგენიძემ. ახლა მას 10 თამაშიდან 5,5 ქულა აქვს. კარგად დაიწყო შეჯიბრება ოსტატობის კანდიდატმა თ. კიკინამ, რომელმაც სძლია ლიტვის ჩემპიონ ოსტატ ი. მასლოვს, ყაიმით დაამთავრა შეხვედრები გროსმაისტერებთან ი. ავერბახსა (მოსკოვი) და ი. ბონდარევსკისთან (ლენინგრადი). კიკინას კარგი პოზიცია ქონდა შეჯიბრების ლიდერ ბ. სპასკისთანაც, მაგრამ შემდეგ შეცდა და წაგო. ახლა კიკინას 10 თამაშიდან 4 ქულა აქვს.

Ე. ᲙᲐᲙᲐᲒᲐᲫᲔ — ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ

ჩელიაბინსკში მიმდინარეობს საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის გათამაშება ქალთა შორის. ხუთი გამარჯვებულა გადის ფინალში.

გათამაშდა ათი ტური. პირველ ადგილზეა ოსტატი ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), რომელმაც 8,5 ქულა მოაგროვა. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება პირველთანრიგოსანი რ. კაზმინა (ჩელიაბინსკი). 7,5 ქულა მოაგროვეს საერთაშორისო ოსტატმა ა. კუშნირმა (მოსკოვი) და ოსტატმა ე. კაკაბაძემ (თბილისი). კაკაბაძემ პირველ და მეორე პარტიებში მარცხი განიცადა, მაგრამ შემდეგ საუცხოოდ ითამაშა — 7 პარტია მოიგო და მხოლოდ ერთი — ც. კახაბრიშვილთან დაამთავრა ყაიმით.

კარგი შედეგი აქვს თბილისის ახალგაზრდა ჩემპიონს, პირველთანრიგოსან ც. კახაბრიშვილს, რომელიც პირველად თამაშობს ასეთ სპასუხისმგებლო შეჯიბრებაში. მან 10 თამაშიდან 5,5 ქულა მოაგროვა.

დღეს შეჯიბრების მონაწილეები ისვენებენ. ხვალ გაიმართება მეთერთმეტე ტური.

„კომუნისტის“ მკითხველებს: ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 21 სექტემბერს.

რედაქტორის მოადგილე
გ. ვარდოსანიძე.

მამაკაცი ჩვენს სახლში

კინო

„ჩვენს ფილმებში არაბი მსახიობები მონაწილეობენ, ლაპარაკობენ არაბულად, ამბავიც თითქოს არაბული, მაგრამ ყველაფერს ჰოლივუდის სუნი უდის“, — ამბობდნენ ეგვიპტის პროგრესული კინომუშაკები.

ისინი მოითხოვდნენ მშობლიური კინოხელოვნების გარდაქმნას ცხოვრების შესაბამისად, მის ჩაყენებას ხალხის სამსახურში.

ეს მისწრაფება შეუნელებლად იზრდება ახლა. და მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტური კინემატოგრაფიის სისტემაში შექმნილ ფილმებს შორის ჯერ კიდევ ბევრია დაბალი მხატვრული გემოვნების, ანტისაზოგადოებრივი ხასიათის ფილმი, მაინც შესამჩნევია ძლავრი გარდატეხა იდეურ-თემატურ სფეროსა და ეროვნული ფორმის ძიების საკითხებში.

ეს გარდატეხა უპირველეს ყოვლისა განაპირობა ახალმა სოციალურმა და ეკონომიურმა პირობებმა, რაც ეგვიპტეში მონარქიული რეჟიმის დამხობისა და რესპუბლიკური სისტემის შექმნის შედეგად წარმოიშვა. კინოხელოვნება რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესებს დაექვემდებარა, მისი მოთხოვნილებებით განისაზღვრა. შეიქმნა ჩვენი მაყურებლებისათვის კარგად ცნობილი ფილმები: „ბრძოლა ველზე“, „მზე არასოდეს არ ჩაქრება“, „უსიყვარულო დღეები“, „გმირთა ბრძოლა“ და სხვა ფილმები, რომლებსაც მაღალ მხატვრულობასთან ერთად ღრმა სოციალური მნიშვნელობის პრობლემატიკა და რეალისტური გადაჭრა ახასიათებს.

ამ ფილმებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კინონაწარმოებებს, რომლებიც ეგვიპტის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების თემას ეხება. ეს არის სავსებით ახალი, დიდ პოლიტიკურ პრინციპზე დამყარებული შემოქმედებითი ნაკადი ეგვიპტური კინემატოგრაფიის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, იგი თანდათან იზრდება და პოპულარული ხდება. ამ ტენდენციის ფილმებს დასაბამი მისცა „ჯამილამ“, რომელიც წარმატებით იქნა ნაჩვენები ჩვენს ეკრანებზე.

ფილმი „მამაკაცი ჩვენს სახლში“ აგრძელებს ამ ხაზს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იგი უშუალოდ ეგვიპტელი ხალხის ცხოვრებას ეხება და მისი გმირული წარსულის ერთი ეპიზოდის გადმოცემას ისახავს მიზნად.

ფილმი დიდი სიყვარულით გვიხატავს ეგვიპტის თავისუფლებისათვის მებრძოლ როგორც ახალი, ისე ძველი თაობის ადამიანთა სახეებს, მოგვითხრობს სამშობლოს თავდადებულ შვილებზე, მგზნებარე პატრიოტებზე, ადამიანებზე, მსხვერპლად რომ შეეწირნენ ხალხის მომავალ ბედნიერებას.

კარგმა ლიტერატურულმა საფუძველმა (სცენარის ავტორები: იუსუფ ისა და ბარაკაითი, იხსან ადელ კუდუსის რომანის მიხედვით) საშუალება მისცა დამდგმელ რეჟისორს ბარაკაითს მოელი სიმართლით ეჩვენებინა ისტორიულ მოვლენათა თავისებურება და ხასიათი, წარმოედგინა ქვეყნის შიგნით ორ მოწინააღმდეგე ბანაკის — პატრიოტებსა და რეაქციონერებს —შორის მიმდინარე მწვავე ბრძოლების სურათები, დადებით გმირებთან ერთად დიდი შემოქმედებითი ობიექტურობით დაეხატა სამშობლოს გამყიდველების ტიპიური სახეები. რეჟისორი არ ირჩენს ცალმხრივობას. როგორც დადებით, ისე უარყოფით სახეებს ამკობს შესაფერი მხატვრული ხერხებით, აჭაყავს ისინი ღრმა სოციალურ განზოგადებამდე, აძლევს მათ დიდ პოლიტიკურ ყღერადობას.

ფილმში ნათლად გამოსჭვივის დამდგმელის დიდი პატრიოტული დამოკიდებულება ისტორიული მოვლენისადმი, ამ მოვლენების მამოძრავებელი ადამიანებისადმი. ასეთი განწყობილებით არის აღსავსე თვითეული ეპიზოდი, რაც კიდევ უფრო ზრდის ფილმის იდეურ მიმართებას, მის პატრიოტულ ბუნებას.

ფილმის ცენტრალური ფიგურაა ჩვენი მაყურებლისათვის უკვე ცნობილი მსახიობი (კინოსურათიდან „ბრძოლა ველზე“) ომარ ელ შარიფი — იბრაჰიმ ჰამდი. მსახიობი ბრწყინვალე ოსტატობით ხატავს იბრაჰიმის მეტად რთულ და მრავალფეროვან სახეს. ეს არის ჭკვიანი, მაღალი პატრიოტული გრძნობებით აღსავსე, სამშობლოსათვის თავგანწირული ახალგაზრდა. შარიფი იძლევა ეგვიპტური პატრიოტი ახალგაზრდების შემკრებ და განზოგადებულ სახეს. მისი მრწამსი და მოქმედება გამოხატულია უკანასკნელ სიტყვებში, რომლებსაც სიკვდილის წინ სწერს თავის სატრფოს:

„ჩემს სიცოცხლეს სამშობლოს თავისუფლებას ვწირავ. ნუ სტირი, ნუ დარდობ ჩემზე. ერთის სიკვდილ მეორისთვის ხომ სიცოცხლე მოაქვს? უამბე შენს შვილებს, რომ ის, ვინც კვდება სამშობლოსათვის, უკვდავია, რომ თავისუფლება სიცოცხლეზე უფრო ძვირფასია“.

შესაძლოა ფინალური ეპიზოდი —საბრძოლო მასალით სავსე დიდი საწყობის აფეთქება გულუბრყვილო აქტის შთაბეჭდილებას ტოვებდეს, მაგრამ თუ მას გავიხილავთ იბრაჰიმის მოქმედების ერთ მთლიანობაში, მაშინ როგორც ეს ეპიზოდი, ისე გმირის უკანასკნელი სიტყვები გაისმის დიდ მოწოდებად, განსაკუთრებით იმ კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნებისათვის, სადაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლები უკვე დაიწყო.

„მეტად სამწუხაროა, რომ ჩვენში დაფენილი არ არის პოლიტიკური პრინციპი კინოფილმების წარმოების სფეროში. ასეთი პრინციპი განსაზღვრავდა ეგვიპტური კინოხელოვნების მიზანს, მიმართულებასა და მეთოდებს. იგი დაეხმარებოდა ჩვენს კინემატოგრაფიას წასულიყო სწორი გზით და მსგავსად საბჭოთა კინემატოგრაფიისა, აქტიური მონაწილეობა მიეღო საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, არ ყოფილიყო მარტოოდენ გართობისა და დროსტარების საშუალება, როგორიც დღემდეა“, — წერდა ეგვიპტური ჟურნალი „ალ ბულისი“ 1958 წელს, ეგვიპტეში საბჭოთა ფილმების წარმატებებთან დაკავშირებით.

კინოსურათი „მამაკაცი ჩვენს სახლში“ ამ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ პრინციპს ემსახურება. ამიტომ არის, რომ იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს არაბულ ქვეყნებში და საუკეთესო გამოხმაურებას პოულობს ყველა კეთილი ნ